ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 10 მარტი, 2016 | №58 (6984) | ფასი: 50 თეთრი

9 მარტიდან გაზეთ ახალ თაობასთან ერთად

მოვემზადოთ სააბიტურიენტო გამოცდებისთვის

ბიოლოგია – თეორიული მასალა + ტესტები + 1500 ელექტრონული ტესტი

გადაფხიკე კოდი და ივარჯიშე ინტერნეტში!

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




16 მარტიდან გაიყიდება გეოგრაფია • 23 მარტიდან — ფიზიკა • 30 მარტიდან — ქიმია

# გოგი თოფაძემ თურქეთს მიტაცებული ტერიტორიები გაახსენა



გვ.3

## ზვიად კვაჭანტირაძემ ამის გამო ბოდიში მოიხადა





## ვალერი გელბახიანი: „ჩანაწერი ოჯახის შესახებ პოპულისტური თემა და სასპეკულაციო საკითხია“

გვ.2



## კონსტანტინე გამსახურდია: „ოჯახის კონსტიტუციაში განმარტებას მივესალმები“

## მოკლეს თუ არა თარხან ბათირაშვილი



გვ.4



## ნარმანია: „მილიონი ხის შემდეგ მილიონი ვარდი“

გვ.4

## ლევან ხაბეიშვილი: „მერია ტენდერებში რუსულ და თურქულ კომპანიებს ამარჯვებინებს“



ISSN 1987-9385

## მერვედფინალები ევროპის ლიგაზე გვ.9

## ესპანურ-ინგლისური დერბებით იწყება

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| შახტარი – ანდერლეხტი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| ბაზელი – სევილია | 3.25 | 3.3 | 2.2 |
| დორტმუნდი – ტოტენჰემი | 1.57 | 3.8 | 6.0 |
| ფენერბახჩე – ბრაგა | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| ვილიარეალი – ლევერკუზენი | 2.15 | 3.2 | 3.2 |
| ბილბაო – ვალენსია | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| ლივერპული – მანჩესტერი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| სპარტა – ლაციო | 2.7 | 3.1 | 2.7 |

UEFA EUROPA LEAGUE

# უნდა ჩაიწეროს თუ არა კონსტიტუციაში ოჯახის განმარტება?

## ვალერი გელბახიანი: „ჩანაწერი ოჯახის შესახებ პოპულისტური თემა და სასპეკულაციო საკითხია“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს გააქტიურებული პოლიტიკური საქმიანობა კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა – მმართველ კოალიციაში გადაწყვიტეს, რომ პარლამენტმა უნდა დაიწყოს გახმაურებული კანონპროექტის განხილვა. ამ პროექტით, ოჯახი, როგორც ქალისა და კაცის ერთობა, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს. ყოფილი დეპუტატი, იურისტი ვალერი გელბახიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამ თემის წამოწევა წინასაარჩევნოდ ქულების დასაწერად ხდება.



### „ქართულმა ოცნებამ“ ვერც ერთი დაპირება ვერ შეასრულა“

„კოალიციაში დარჩებიან „ქართული ოცნება“ და რესპუბლიკური პარტია“

**ვალერი გელბახიანი:**

– „ქართული ოცნებისთვის“ ეს პოპულისტური თემაა. მმართველ კოალიციას ეს საკითხი სასპეკულაციოდ სჭირდება. უმრავლესობის წევრებმა კარგად იციან, რომ ამ პროექტის გასატანად ხმები არ ეყოფათ.

***– ამის შემდეგ ამ თემაზე რეფერენდუმს გვპირდებიან.***

– რეფერენდუმი პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს. ამასთან დაკავშირებით გასარკვევია პრეზიდენტის პოზიცია.

***– ოჯახის შესახებ ჩანაწერს მხარს არ უჭერენ უმრავლესობის წევრი რესპუბლიკელები, სამაგიეროდ, კრიტიკის მიუხედავად, მისთვის ხმის მიცემას აპირებენ „თავისუფალი დემოკრატები“.***

– რესპუბლიკელები ამ საქმეში მარტო არ არიან. საპარლამენტო უმცირესობა, ანუ ნაციონალური მოძრაობაც ამ პოზიციაზეა. თუ „ოცნებას“ ამ ჩანაწერის მიღება მართლა უნდა, რატომ არ გამართა კონსულტაციები ნაციონალურ მოძრაობასთან? რატომ არ მიაღწია შეთანხმებას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებისათვის საკმარისი ხმა მიიღონ?

***– ანუ, ყველამ წინასწარ იცის, რომ პარლამენტი ამ ჩანაწერს კონსტიტუციაში ვერ შეიტანს?***

– ცხადია. „ქართულ ოცნებას“, პოპოლისტური სურვილის გარდა, უნდა, რომ ეს საკითხი ჩააგდოს და ამით ერთხელ და სამუდამოდ მოხსნას დღის წესრიგიდან. „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში იყო, როცა ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ ზუსტად ეს ინიციატივა წამოაყენა. „ოცნება“ მაშინ ამის წინააღმდეგი იყო. საინტერესოა, ახლა რა მოუვიდათ, რომ ამავე ინიციატივას თვითონ აყენებენ? იმის მაგივრად, რომ ხალხისათვის მიცემული დაპირებების ნაწილი მაინც შეესრულებინათ, ქულებს იწერენ ოჯახის თემით. რეალურად, ამის დაკანონება არც უნდათ.

***– ამით ხალხი მოტყუვდება?***

– ხალხით მანიპულირება ხდება. მალე 4 წელიწადი გახდება, რაც ხელისუფლებაში არიან და თითქმის არც ერთი დანაპირები არ შეუსრულებიათ. მოუგვარებელია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რის გამოც მოსახლეობის მდგომარეობა მძიმეა.

***– „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე ბოლოდროინდელი დაპირისპირებით რა შეიცვალა?***

– სააშკარაოზე გამოვიდა ის, რაც ადრე დაფარული იყო. უფრო ცხადი გახდა, რომ „ქართული ოცნება“ დაშლის პირასაა. ბევრი ნიშნის მიხედვით, კოალიციაში „ქართული ოცნება“ და რესპუბლიკური პარტია დარჩებიან. დანარჩენები სხვაგან გადავლენ. ვერც იდეოლოგიურად და ვერც თემატურად ამ გაერთიანების შენარჩუნება ვერ ხერხდება. „ქართულმა ოცნებამ“ თითქმის 4 წელი ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლაში, ასევე შიგნით ერთმანეთთან კინკლაობაში გაატარა. ამ ხელისუფლებამ ვერ გაატარა ვერც ერთი რეფორმა და ვერ მიიღო ვერც ერთი აუცილებელი კანონი, შესაცვლელი კანონები უცვლელად დატოვა.

***– ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ საგარეო პოლიტიკაში დიდი წარმატებები აქვს.***

– საუბედუროდ, არც საგარეო პოლიტიკაში გაკეთებულა არაფერი. ძირითადად, გაგრძელდა ის, რაც ნაცმოძრაობის დროს იყო დაწყებული. თუ ნაცმოძრაობის საქმის გამგრძელებლები არიან, მაშინ წარმატებულები ყოფილან.

***– „ქართული ოცნების“ პლუსად ითვლება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა.***

– რის ხარჯზე აღდგა სავაჭრო ურთიერთობები – დიპლომატიური ურთიერთობების ხარჯზე? თუ რუსეთთან რაიმე კონტაქტი იყო, ისინი რუსეთის ინტერესში შედიოდა.

***– რუსეთის ინტერესად ითვლება საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის მომზადებაც.***

– ეს საკითხი ისევ აქტუალური გახდა. აქ ახალი არაფერია. რუსეთის ზედა პოლიტიკური ეშელონებიდან, პირადად პუტინისაგან, სამი ინიციატივა იყო შეხვედრაზე. საქართველოს ხელისუფლებამ ამას დუმილით უპასუხა. ახლა კი დიდ საგარეო წარმატებებზე გველაპარაკებიან!

***– ეს არჩევნები განსაკუთრებულად დაძაბული იქნება?***

– მუხტის აწევა ყოველ საარჩევნო წელს შეინიშნება. ახლა არაა ის სიტუაცია, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამოცხადებული ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და მთავარი მიზანი იყო ნაციონალების შეცვლა. ამჟამად მრავალპლანიანი, მრავალსუბიექტიანი რეალობა გვაქვს. მადლობა ღმერთს, არ არის ძალადობა. დიდი დაძაბულობაა რეგიონსა და მთელ მსოფლიოში. რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება ახდენს გავლენას საქართველოზეც.

## კონსტანტინე გამსახურდია: „ოჯახის კონსტიტუციაში განმარტებას მივესალმები“

ნათია ხურცილავა

ყოფილი დეპუტატი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებაზე, რომელიც ოჯახის განმარტებას უკავშირდება.

***– ბატონო კონსტანტინე, რამდენად ეთანხმებით ხელისუფლების მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებას? რამდენად არის აუცილებლობა, რომ სწორედ კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ქალისა და მამაკაცის ერთობა არის ოჯახი?***

– რამდენადაც ჩვენი სახელმწიფო მაინც უფრო კონსერვატიულია და გარკვეულ ტრადიციებს ეყრდნობა, ამდენად შესაძლებელია, ხელისუფლების ეს ინიციატივა გამართლებული იყოს. მით უმეტეს, როდესაც ორივე მხრიდან დემაგოგები ცდილობენ შეარყიონ ის მეინსტრიმული ძალები, რომლებიც ინარჩუნებენ ევროინტეგრაციისადმი ერთგულებასა და ევროპულ კურსს. ვგულისხმობ ორივე მხრიდან შემოტევას.

ერთი მხრივ, ეს არის ელჯიბიტი თემი და მასთან დაკავშირებული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში მიაღწიონ ისეთ ლიბერალიზმსა და დემოკრატიას, რომელიც დედამიწის არც ერთ კუთხეში არ არსებობს და ვერც იქნება.

მეორე მხრივ კი არიან რეაქციული ძალები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულნი არიან რუსეთის ინსტანციებთან და რუსულ პროპაგანდასთან, რომლებიც რაღაცნაირად ცდილობენ დასაბუთებას იმისას, რომ დასავლური ორიენტაცია და დასავლური ღირებულებები იგივეა, რაც ელჯიბიტი ორგანიზაცია, არატრადიციული ქორწინებების დაკანონება. ეს ძალები ბოლო წლებში გააქტიურდნენ.

***– საქართველოში გააქტიურდნენ?***

– დიახ, საქართველოში გააქტიურდნენ. ამიტომ სულაც არ მიკვირს და გასაგებია, რომ ხელისუფლება ცდილობს დაიცვას თავი სწორედ ამ ძალებისგან.

***– ვინ არიან ეს ძალები?***

– ერთი მხრივ, უკიდურესი ულტრალიბერალები, მეორე მხრივ კი, რუსეთი და რუსულ ინსტანციებთან დაკავშირებული ძალები, რომლებიც თავისთავად კონსერვატორები არიან, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, რომ ტალახში ამოსვარონ საქართველოს ევროინტეგრაციული და დასავლეთზე ორიენტირებული კურსი. ეს ძალები ცდილობენ, რომ საქართველოს ევროპული მისწრაფებები, ჩვენი სახელმწიფოს საგარეო ვექტორები და პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ევროპულია, რაღაცნაირად დააკავშირონ არატრადიციულ ქორწინებებთან და ელჯიბიტი თემთან.

***– გამოდის, ეთანხმებით ამ საკონსტიტუციო პროექტს.***



– მხოლოდ მე ვეთანხმები თუ რა ხდება?!

***– ამას იმიტომ გეკითხებით, რომ პარტიებს შიგნითაც არის განსხვავებული პოზიციები. პიროვნულ დონეზე ხდება გადაწყვეტილების მიღება, დაუჭირონ მხარი თუ არა ამ ინიციატივას.***

– ამ ინიციატივას უფრო კულტურული მნიშვნელობა აქვს და სხვა არაფერი. ვერ ვხედავ დიდ ტრაგედიას იმაში, რომ კონსტიტუციაში გაჩნდეს ასეთი ჩანაწერი, ეს უფრო კულტურული ასახვა იქნება ოჯახის განმარტების და სხვა არაფერი.

***– საკონსტიტუციო დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი კანონით რეგულირდება.***

– დიახ, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში ოჯახი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა კაცისა და ქალის ერთობა.

***– თუმცა, ხომ არიან მრავალშვილიანი დედები ან ქალები, რომელთაც ერთი შვილი ჰყავთ, მაგრამ გვერდით არ ჰყავთ მეუღლე, ეს არ არის ოჯახი?***

– რა თქმა უნდა, ესეც ოჯახია, მაგრამ ოდესღაც ხომ იყო იმ ოჯახში მამაკაცი.

***– და დღეს თუ არ არის, გამოდის, ამ ქალს ოჯახი არ აქვს?***

– რატომაც არ აქვს, ცხადია, აქვს და შეიძლება ესეც აისახოს.

***– კონსტიტუციაში?***

– რატომაც არა, შეიძლება ესეც აისახოს კონსტიტუციაში.

***– ევროპის, ევროკავშირის, დასავლური ღირებულებების ანტიპიარი მოხდა საქართველოში და ამიტომაც გვჭირდება ასეთი ჩანაწერების არსებობა კონსტიტუციაში?***

– არათუ მოხდა, გამალებულად, ინტენსიურად მიმდინარეობს ევროპის, დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია, რაშიც დიდი ფულია დახარჯული.

***– შეიძლება ხელისუფლების ეს ინიციატივა წინასაარჩევნო პიარის ნაწილი იყოს?***

– რაღაც გაგებით ეს კონტრპიარიც არის ხელისუფლებისთვის. თუმცა, ჩემთვის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ახსნადია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გოგი თოფაძემ თურქეთს მიტაცებული ტერიტორიები გაახსენა

შორენა მარსაგიშვილი

მრეწველი გოგი თოფაძე ახალ სკანდალში გაეხვია. ამჯერად მისი სახელი საქართველოს ფარგლებს ნამდვილად გასცდება. მის გამო საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ბოდიშის მოხდაც კი მოუწია.

სტრატეგიული პარტნიორი თურქეთი რესპუბლიკელებთან ნაფრონტალ თოფაძეს გაზპრომის გამო შემოელანძღა.

ნაციონალები საქართველოში გაზპრომის შემოსვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. მათი თქმით, არ შეიძლება იმ ქვეყნიდან გაზის შემოტანა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული.

თოფაძე კი ფიქრობს, რომ გაზპრომის შემოსვლა კარგია, რადგან ქვეყანას გაზის რამდენიმე მომწოდებელი ეყოლება.

– როცა დაიწყო ლაპარაკი, რომ გაზპრომიდან შეიძლება მივიღოთ დამატებითი აირი, ამას სულ სხვა პოლიტიკური ელფერი მიეცა. ეკონომიკურად თუ ვლაპარაკობთ, რაც უფრო მეტი მომწოდებელი გყავს, უფრო ეკონომიური იქნება, სავაჭრო გვექნება. ამაზე ააგეს, თურმე როგორ შეიძლება, რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები დაიკავა და გაზპრომთან საუბარი არ შეიძლება. მწვანილის გატანა შეიძლება და სხვადასხვა ღვინის და თუ ასე ვუდგებით, მაშინ თურქეთიდან რომ ათასი ნაგავი შემოაქვთ, იქ არ არის ჩვენი ტერიტორიები დაკავებული? – განაცხადა გოგი თოფაძემ.

ეს განცხადება გულზე ცუდად მოხვდა ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერს გიგი წერეთელს. მან იმედი გამოთქვა, რომ თოფაძის გამო საქართველო ახალ შარში არ გაეხვევა.





ზვიად კვაჭანტირაძემ ამის გამო ბოდიში მოიხადა

– მგონი, მაინც ავცდებით ახალ გეოპოლიტიკურ შეჯახებას და კრიზისს ბატონი გოგის გამოსვლის შემდეგ. თურქეთი არ გაგვინაწყენდება და დარჩება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად, – აღნიშნა შეშფოთებულმა წერეთელმა.

მრეწველის განცხადება არც „ქართული ოცნების“ წევრებს ესიამოვნათ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ გოგი თოფაძის განცხადების გამო საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

– ეს არის არაკორექტული განცხადება ჩვენი პარტნიორი ქვეყნის მისამართით.

მინდა, აღვუთქვა ჩვენს თურქ პარტნიორებსა და კოლეგებს, რომ ამ აზრს არ იზიარებენ საპარლამენტო უმრავლესობა და და საქართველოს მთავრობა, – აღნიშნა კვაჭანტირაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

საერთაშორისო სკანდალში გახვეულ თოფაძეს მთავრობასთან ლამის მოგვარებული საქმე შესაძლოა ჩაეშალოს.

თურქეთზე შეტევის მიტანამდე მან მედიას პრემიერთან შეხვედრის დეტალები გაუმხილა. რესპუბლიკელების შემდეგ გიორგი კვირიკაშვილი მრეწველთა ფრაქციასაც შეხვედრია.

როგორც მრეწველთა ლიდერი ამტკიცებს, მთავრობის მეთაურს მათი მისამართით პრეტენზიები არ აქვს.

– პრემიერ-მინისტრი შეხვდა რესპუბლიკელებსაც და შეგვხვდა ჩვენც. ჩვენი ბრალი არაფერში არ არის და შევთანხმდით, რომ ეს დაპირისპირება შევარბილოთ, რადგან კოალიციის წევრები ვართ. ჩვენ ჯერ მაგას ვასრულებთ და ვნახოთ, ჩვენი ოპონენტები რას იზამენ, ჩვენ მიმართ არავითარი პრეტენზია არც იყო და არც იქნება. ჩვენ სამი წელია ვართ კოალიციაში და არც მე და არც არავის, ჩვენი ფრაქციის წევრებს, არასოდეს ჩვენი კოლეგებისთვის არაფერი უკადრისი არ გვითქვამს. რაც იყო ნათქვამი ჩვენ მიმართ, მაგას გავეცით პასუხი. ჩვენ არ დაგვიწყია ეს კამათი, არაფერი გვაქვს გასამტყუნებელი და არც პრემიერი არ გვამტყუნებს, – აღნიშნა მრეწველთა ლიდერმა.

მისივე თქმით, ამ თემაზე საუბარი 7 მარტს გამართულ პოლიტსაბჭოს სხდომაზეც გაგრძელდა, თუმცა მთავარი ყურადღება ქორწინების თემას დათმობია.

– ოჯახი არის მამაკაცის და ქალის ერთობა. ახლა ალბათ ამ თემას გავამწვავებთ. ჩვენი პოზიციაა, რომ საქართველოში და კავკასიაში ვცხოვრობთ და ეს მიუღებელია. ალბათ უმრავლესობა ამ თემაზე ამ დღეებში კიდევ შევხვდებით და გადავწყვეტთ, რომ უნდა დავაყენოთ ეგ თემა საკანონმდებლო ორგანოში, – განაცხადა დეპუტატმა.

## გიგი წერეთელი ზურაბ ტყემალაძეს: „ხალხი აგიჯანყდებათ“



საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიგი წერეთელის განცხადებით, მოსახლეობა უფრო მეტს იხდის ელექტროენერგიაზე, ვიდრე ადრე იხდიდა.

ამის შესახებ წერეთელმა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების გაერთიანებული სხდომაზე განაცხადა, სადაც ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს უსმენენ.

– მინისტრი შეეხო ტარიფებს და თქვა, რომ შემცირდა ტარიფები, მაგრამ მისი თქმით, შემდეგ ვერ მოხერხდა ამის შეჩერება და ჩვენ გვახსოვს კრიტიკული გამოსვლები, რომ ტარიფების შემცირება შეიძლება მოხდეს საინვესტიციო კომპანიების, საინვესტიციო ნაწილის შემცირების ხარჯზე. მე მაინტერესებს, დღეს არსებული შეფერხებები, სადღაც გათიშვები, გამრიცხველიანობის დაუსრულებლობა და სხვა, არის თუ არა შედეგი იმისა, რომ ამ კომპანიებს სირთულეები შეექმნათ. თუ შედეგებზე ვსაუბრობთ, ბატონებო, გამონათქვამია, რომ შედეგებია მნიშვნელოვანი და შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი მოსახლეობა ელექტროენერგიის საფასურს დღეს გაცილებით მეტს იხდის, ვიდრე ამას ადრე იხდიდა და ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

აღნიშნული სიტყვების შემდეგ უმცირესობის წევრმა შედეგებზე საუბრის კონტექსტში აღნიშნა, თუ რა გაკეთდა ენერგეტიკაში წინა ხელისუფლების დროს.



ამ რეპლიკაზე უმრავლესობის წევრმა ზურაბ ტყემალაძემ წერეთელს უთხრა, რომ „წინა ხელისუფლებაზე თუ ვისაუბრებთ, ხალხი აგვიჯანყდება“. რაზეც გიგი წერეთელმა უპასუხა, „ვინ ხალხი აჯანყდება? რომელიც 2004 წლამდე სიბნელეში იყო და 2012 გაცილებით უკეთეს ენერგეტიკულ გარემოში აღმოჩნდა, ეს ხალხი აჯანყდება? ხალხი აგიჯანყდებათ ცოტა ხანში, ამ პოლიტიკით რომელსაც ატარებთ“.

**მედიანიუსი**

## მაესტრო — როდის დაიდება მაესტროს ფინანსური რეაბილიტაციის გეგმა

ლევან გაჩეჩილაძე მაესტროს ჟურნალისტებს პეტიციის გაფორმებას სთავაზობს.

მაესტროს გენერალურმა დირექტორმა ლევან გაჩეჩილაძემ ბიზნეს-კონტაქტის ავტორ გიორგი ისაკაძესთან და არხის ფინანსურ დირექტორ თემურ გაჩეჩილაძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

მისი ინფორმაციით, მას ტელეკომპანიის ფინანსური რეაბილიტაციის გეგმა აქვს და ის „მის თავშია“.

გაჩეჩილაძე ამბობს, რომ ახლა მთავარი ამოცანა მხოლოდ ისაა, არ დაზიანდეს შპს სტუდია მაესტროს შემოსავლები.

– მე და გიორგის გვქონდა ასეთი ლაპარაკი, შესაძლებელია რაღაც ვადაში ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობოთ მისი ინიციატივით, მაგრამ მანამდე ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული შეხვედრები დაგეგმილი იმასთან დაკავშირებით, რომ მაესტროს დღევანდელი ეთერი, ეს არის მაესტროს პროდუქტი. შპს სტუდია მაესტროს პროდუქტს აქვს 10 მილიონიანი შემოსავალი, ამ პროდუქტს ქმნის მათ შორის გიორგი ისაკაძის მიერ წარმოდგენილი პროდუქტები, აქედან გამომდინარე ჩემი, როგორც გენერალური დირექტორის მთავარი ამოცანაა, რომ არ დაზიანდეს შპს სტუდია მაესტროს შემოსავლები, – აღნიშნა მაესტროს გენერალურმა დირექტორმა.



გაჩეჩილაძის განმარტებით, ტელეკომპანიის აუდიტის დასკვნის შესწავლის შემდეგ დაიდება ფინანსური რეაბილიტაციის კონკრეტული გეგმა.

– მთავარი საუბრის ორი თემაა, რომ პირველი გადაბარების საკითხი, რომელიც მრავალმხრივია, გადაბარებას სჭირდება აუდიტი, სჭირდება ინვენტარიზაცია, სჭირდება ფინანსური მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები და მე ბატონმა თემურმა აღმითქვა, რომ ჩვენ შორის იქნება ძალიან სერიოზული თანამშრომლობა, – აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

მისივე თქმით, დღეს ან ხვალ ტელეკომპანიაში დანიშნავს თავის მოადგილეს, რომელსაც არხის ფინანსურ დირექტორთან ექნება ურთიერთობა და ყველა საჭირო ოპერაციას ერთად განახორციელებენ.

ამასთან ლევან გაჩეჩილაძემ მაესტროს ჟურნალისტებს პეტიციის გაფორმება შესთავაზა.

– სარედაქციო პოლიტიკა იქნება დამოუკიდებელი. მზად ვარ, ჟურნალისტებთან ერთად გავაფორმო პეტიცია, რომელშიც ეს ყველაფერი იქნება ასახული, – განაცხადა მაესტროს დირექტორმა.

**ნიუპოსტი**

## „საქმიანი დილა“ და „ბიზნეს-კონტაქტი“ მაესტროს ეთერში აღარ გავა

ტელეკომპანია მაესტროს გადაცემების „საქმიანი დილის“ და „ბიზნეს-კონტაქტის“ ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე ამბობს, რომ ეს პროექტები შპს მაესტროს ეთერში აღარ გავა.

როგორც ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ისაკაძემ შეკრებილ ჟურნალისტებს უთხრა, საქმიანი ურთიერთობის დასრულება მაქსიმალურად ცივილიზებულად უნდა მოხდეს.

გაირკვა ისიც, რომ გიორგი ისაკაძე გადაცემების დახურვას არ აპირებს.

– ჩვენ შევთანხმდით, რომ გვექნება ყველანაირი მცდელობა, რათა საქმიანი ურთიერთობის დასრულება მოხდეს მაქსიმალურად ცივილიზებულად. „ბიზნეს-კონტაქტი“ და „საქმიანი დილა“, ასევე „ანალიტიკა“ ეთერში იქნება. რა ფორმით მოხდება და როგორ, ეს გამოჩნდება. ლევანმა მიიღო დასტური იმაზე, რომ ჩვენ თანამშრომლობას არ ვგეგმავთ შპს „სტუდია მაესტროსთან“, თუმცა ეს ყველაფერი მოხდება საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, – განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

**ნიუსპოსტი**



## სასაზღვრო პოლიციამ თურქეთის დროშით მცურავი თევზმზიდი გემი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, თურქეთის დროშით მცურავი თევზმზიდი გემი ფოთის საზღვაო ნავსადგურში დააკავეს.

გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა, საქმისწარმოება ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე პრიმა-1 მუხლის 1-ელი ნაწილით დაიწყო.

გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

## ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ჩატარებული ოპერატიულ – სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი, ზვიად ლიპარტელიანი და რაფიელ ქურასბედიანი, დააკავა.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, ყოველგვარი მომსახურების გაწევის გარეშე, სხვადასხვა საწარმოთა მონაცემების გამოყენებით დაამზადეს და გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები, საერთო ჯამში, 601 525 ლარის ღირებულების ფიქტიური მომსახურების გაწევაზე. რეალურად, მათ არანაირი მომსახურება არ გაუწევიათ და აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო ქმედების სანაცვლოდ, დაკავებულებმა მოითხოვეს 180 000 ლარი, ხოლო წინასწარ აიღეს მოთხოვნილი თანხის ნაწილი 30 000 ლარი.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნარმანია: „მილიონი ხის შემდეგ მილიონი ვარდი“

შორენა მარსაგიშვილი

დავით ნარმანიას წყალობით, ქართველებს სულიკოს გარდა, მილიონი ხის და ახლა უკვე მილიონი ვარდის ძებნაც მოგვიწევს. თბილისის ყვავილნარად გადაქცევის მიზნით ქალაქის თავს ტენდერებიც გამოუცხადებია. ეჭვები სწორედ ამ ტენდერებმა გამოიწვია. ამ საკითხზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.



## ლევან ხაბეიშვილი: „მერია ტენდერებში რუსულ და თურქულ კომპანიებს ამარჯვებინებს“



**ლევან ხაბეიშვილი:**

– ჩვენს მერს უცნაური ახირებები და ფობიები აღმოაჩნდა. მილიონი ხის „დარგვის“ შემდეგ დავით ნარმანიამ ახალი გასართობი იპოვა და დედაქალაქში მებაღჩეობის განვითარებას აპირებს.

ამ მიზნის მისაღწევად 2016 წლის იანვრიდან მოყოლებული, 20 ტენდერი აქვს გამოცხადებული. ამ ტენდერების ნახევარზე მეტი უკვე დაკონტრაქტებულია.

უკვე გაფორმებულმა კონტრაქტებმა სერიოზული ეჭვები გააჩინა. ერთ-ერთი ფირმა, რომელმაც 4 ტენდერი მოიგო და რომელთანაც 500.000 ლარის ღირებულების კონტრაქტია გაფორმებული, მიმდინარე წლის იანვარშია დაფუძნებული. თებერვლისთვის კი უკვე 4 ტენდერი აქვს მოგებული. ფირმა თურქულია და მას ხასან გიულუკი ხელმძღვანელობს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ის კონკურსში მოგვიანებით ჩაერთო. 3 შემთხვევაში ამ გიულუკს კონკურენტიც კი არ ჰყოლია.

პირველ ეტაპზე ამ ფირმას 4 კონკურენტი ჰყავდა. მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომელიც 110.000 ლარის ღირებულების იყო, ამ გიულუკმა მოიგო 39.000 ლარად. მთელი 70%-ით შეამცირა ფასი, რაც არანორმალურია და ეჭვებსაც აჩენს.

***– რა ეჭვებს აჩენს?***

– მერიას გამოცხადებული ჰქონდა, რომ ამა და ამ სამუშაოს შესრულებაზე 110.000-იან ტენდერს აცხადებს. ფირმა კი მზადაა იგივე სამუშაოები 39.000-ად შეასრულოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან თურქულ ფირმას წარმოდგენა არა აქვს, რა უნდა გააკეთოს, ან მერიის თანამშრომელი, რომელმაც ეს სამუშაოები დაიანგარიშა, არასწორად მოიქცა და არარეალური ფასი მიუთითა, რაც საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას გამოიწვევდა.

მას შემდეგ, რაც თურქულმა კომპანიამ ფასები 70%-ით დააგდო, სხვებმა გადაწყვიტეს, მასთან აღარ ეჭიდავათ. დანარჩენი 3 ტენდერი გიულუკმა იოლად მოიგო. მართალია, მას კონკურენტები აღარ ჰყოლია, მაგრამ სამივე შემთხვევაში ფასები მაინც დააკლო.

***– როდის უნდა დაიწყოს ამ ფირმამ ყვავილების დარგვა?***

– როდის და როგორ უნდა დაიწყოს, არ ვიცით. მისთვის ბევრი რამ არ მოუთხოვია მერიას და უპრობლემოდ გაუფორმეს ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტები. ასეთივე ტენდერები არის სხვა მიმართულებით. ეს ყველაფერი დედაქალაქსააყვავებს თუ კორუფციას, ამას მომავალი გვანახებს.

***– ის მაინც თუ ვიცით, სად უნდა დაირგოს ნარმანიას საოცნებო ყვავილები?***

– ამის თქმა გამიჭირდება. კონტრაქტში წერია მხოლოდ ის, რომ ეს სამუშაოები დედაქალაქში უნდა შესრულდეს.

***– მეტი არაფერი?***

– მეტი არაფერი. ხელშეკრულებაში კონკრეტული მისამართები მითითებული არ არის. კორუფციული თვალსაზრისით, ეს ძალიან საშიში ამბავია. შემოწმებითაც ბევრს ვერაფერს შეამოწმებენ. გეტყვიან, რომ წვიმა იყო ძლიერი და ნარგავები გააფუჭა, ანდა იტყვიან, ვიღაცამ მოგლიჯა და წაიღოო. ამის გადამოწმება არის შეუძლებელი. შესაბამისად გაჭირდება იმის დადგენა, დაიხარჯა თუ არა საბიუჯეტო სახსრები თბილისის აყვავებაზე.

ასევე იყო ხეების ამბავიც. გამოიტანეს რაღაც რუკა, სადაც დატანილი იყო ხეები, რომლებიც რეალობაში დარგული არ არის. არადა, ამაში მილიონობით ლარი დაიხარჯა. მილიონ ხეს ვინ ჩივის, ის თითო-ოროლა ნერგიც გადახმა, რაც დარგეს.

ბოლო პერიოდში საქართველოში ტენდერებთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია შეინიშნება. რუსეთში დაფუძნებული კომპანიების შვილობილი კომპანიები თბილისში ტენდერს ტენდერზე იგებენ.

ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობდით და ბევრი საინტერესო რამე გავარკვიეთ. გამაგრებითი სამუშაოების ტენდერი იმ რუსულ კომპანიებს მოაგებინეს, რომლებსაც ამ მიმართულებით მუშაობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ.

თებერვლის თვეში რუსეთის ერთ-ერთ მოქალაქე მახმედოვს 905.000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმეს. მან ქალაქში ნახაზები უნდა გააკეთოს, ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, ტრასსა უნდა დახაზოს.

***– ამ კომპანიასაც არ აქვს ამ ტიპის სამუშაოები ჩატარებული?***

– ეს არ ვიცი. საინტერესო ისაა, რომ ეს კომპანია 2016 წლის იანვარშია დაფუძნებული და თებერვალში ლამის მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

რუსულმა კომპანიებმა მოიგეს ერთ-ერთი ბოლო ტენდერიც. გლდანის რაიონში უნდა მოხდეს სკვერების მოწყობა. ტენდერში რუსეთში დაფუძნებული კომპანიის შვილობილმა კომპანიამ გაიმარჯვა და მას 260.000 ლარის კონტრაქტი გაუფორმეს.

სატენდერო პირობებში ეწერა, რომ კომპანიას, რომელსაც ტენდერის მოგება სურს, 2013 წლიდან მოყოლებული, ამ მიმართულებით 150.000 ღირებულების სამუშაო მაინც უნდა ჰქონდეს ჩატარებული. აღნიშნული კომპანია ამ სამუშაოების შესრულებას უბრალოდ ვერ მოასწრებდა. ისიც მიმდინარე წლის იანვარშია დაფუძნებული.

ჩვენ მის მამობილ კომპანიაზეც მოვიძიეთ ინფორმაცია, გვაინტერესებდა, იქნებ ისინი მაინც მუშაობდნენ ამ მიმართულებით. არც მამობილს აქვს სკვერების მოწყობის სამუშაოების ჩატარების გამოცდილება. ეს არის აბსოლუტურად გაურკვეველი კომპანია.

ჩვენ გვაქვს გარკვეული ეჭვები, რომ ასეთ კომპანიებთან შეგნებულად ფორმდება მილიონიანი კონტრაქტები. ხარისხიან სამუშაოებს და ვადების დაცვას მათგან არავინ ითხოვს. თავად დავით ნარმანიაც ამბობს, რომ ისინი დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებენ.

საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და ალბათ ამიტომაც გააქტიურდნენ რუსული კომპანიები. არ გამოვრიცხავთ, რომ მათი შვილობილი კომპანიების გამარჯვება სწორედ არჩევნებთან იყოს რაღაც კავშირში.

***– რა კავშირი შეიძლება იყოს?***

– არაა გამორიცხული, ამ ფირმებმა არჩევნებზე „ქართული ოცნება“ დააფინანსონ.

***– ქართულ ფირმებისგან ვერ მიიღებდნენ დაფინანსებას?***

– მათგანაც მიიღებდნენ, მაგრამ აქაურ ფირმებზე იმდენი სკანდალი აგორდა, თავს იკავებენ. სულ მაგათი ნათესავები იგებდნენ ტენდერებს. მახმედოვს და გიულუკს კი ნარმანიასთან ვერავინ დააკავშირებს.

# მოკლეს თუ არა თარხან ბათირაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

**8 მარტს ამერიკულმა პრესამ კიდევ ერთხელ გაავრცელა ინფორმაცია პანკისელი თარხან ბათირაშვილის ლიკვიდაციის შესახებ.**

**მსოფლიოსთვის ომარ ალ შიშანის სახელით ცნობილი მებრძოლის გარდაცვალების ფაქტს პენტაგონის წარმომადგენელიც ადასტურებს.**

**პანკისელები ბათირაშვილის გარდაცვალების ამბავს არ ადასტურებენ. გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს მამამისიც.**

ჟურნალისტებთან საუბარში თემურ ბათირაშვილი ამბობს, რომ მისთვის შვილის გარდაცვალების შესახებ არავის არაფერი უცნობებია.

– მე არაფერი ვიცი, ეს ინფორმაცია ტყუილი იქნება, – ამბობს ბათირაშვილი.

თარხან ბათირაშვილის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია აქამდეც არაერთხელ გავრცელებულა. ერთხელ ინფორმაცია პენტაგონმაც დაადასტურა. მერე აღმოჩნდა, რომ ალ შიშანი ცოცხალი იყო.

ბოლო ინფორმაციით, ბათირაშვილი თანამებრძოლებთან ერთად ლიბიაში იყო გადასული. მამისთვის არც ამის შესახებ არის რამე ცნობილი. ამბობს, რომ მასთან დიდი ხნის მანძილზე არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია.

ამერიკული გამოცემების ცნობით, ბათირაშვილი 4 მარტს სირიაში, ალ შადადის პროვინციაში სარაკეტო იერიშებს ემსხვერპლა.

პენტაგონმა დაადასტურა, რომ სირიაში ომარ ალ შიშანის განადგურების მიზნით საჰაერო ოპერაცია ჩატარდა. თუმცა, პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, პიტერ კუკმა განხორციელებული ოპერაციის დეტალები არ დააკონკრეტა და განაცხადა, რომ შესრულებული სამუშაოს შედეგებს თავდაცვის სამინისტრო ჯერ ისევ აზუსტებს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თარხან ბათირაშვილი ტერორისტების სიაში ჰყავდა შეყვანილი და მის შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი ჰქონდა დაწესებული.

ამ ამბავში ამერიკა რუსეთის პოზიციაზე აღმოჩნდა. ბათირაშვილის ლიკვიდაციისთვის 5 მილიონიანი ჯილდო ჰქონდა დაწესებული პუტინის ფავორიტ რამზან კადიროვსაც.

◆ ◆ ◆

აი, რას წერს პანკისელი ბათირაშვილის შესახებ უოლ სტრიტ ჯორნელი:



„8 მარტს პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, წინა კვირაში სირიაში აშშ-ის თვითმფრინავების მიერ განხორციელებული სამხედრო დარტყმის შედეგად „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენიანი სამხედრო მაღალჩინოსანი აბუ-ომარ ალ-შიშანი დაიღუპა. მისი სიკვდილი ნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა სირიაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია: აბუ-ომარ ალ-შიშანი ხომ ისლამისტთა ცნობილი ტაქტიკოსი იყო. გარდა ამისა, ვაშინგტონი თავს საკმაოდ უხერხულად გრძნობდა, რადგან ალ-შიშანის სამხედრო მომზადებაში პასუხისმგებლობა შეერთებულ შტატებსაც მიუძღვის.

აშშ-ის თვითმფრინავებმა და უპილოტო აპარატებმა პარასკევს აღმოსავლეთ სირიის ქალაქ ალ შადადის რაიონი დაბომბეს და, როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა აღნიშნა, სავარაუდოდ, ისლამური სახელმწიფოს 12 სხვა მებრძოლთან ერთად, აბუ-ომარ ალ-შიშანიც (იგივე „ომარ ჩეჩენი“) დაიღუპა.

როგორც პენტაგონელმა ჩინოვნიკმა განაცხადა, „საინტერესო და საკმაოდ უცნაურია“ ის, რომ ალ-შიშანი, რომელსაც „ისლამურ სახელმწიფოში“ სამხედრო მინისტრის ტოლფასი თანამდებობა ეკავა, პირადად მონაწილეობდა ალ შადადთან დაწყებულ სამხედრო ოპერაციაში. „ალბათ, მან ეს იმიტომ გააკეთა, რომ უკანდახეული ისლამური მებრძოლების საბრძოლო სული აემაღლებინა“, – განმარტა პენტაგონის წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს იმ რაიონში მოქმედ ამბოხებულებს, რომლებიც პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ჯარების წინააღმდეგ იბრძვიან.

30 წლის აბუ-ომარ ალ-შიშანი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მას შემდეგ გამოჩნდა, როცა მან აშშ-ში ელიტური სადაზვერვო მომზადება გაიარა და პოსტსაბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის არმიაში მსახურობდა. იგი საქართველოს ჩრდ.ნაწილში [მდებარე პანკისის ხეობაში] დაიბადა, ქრისტიანი მამისა და მუსლიმანი დედის ოჯახში. აბუ-ომარ ალ-შიშანის ნამდვილი სახელია თარხან ბათირაშვილი. იგი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წარმატებით მსახურობდა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხანმოკლე ომშიც მიიღო მონაწილეობა, რომელშიც მისი მშობლიური ქვეყანა დამარცხდა.

არმიაში სამსახურისგან იმედგაცრუებული თარხან ბათირაშვილი ჯერ ციხეში მოხვდა (იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით), ხოლო შემდეგ, 2012 წელს, როცა საპყრობილედან გაათავისუფლეს, სირიაში წავიდა და სწრაფად ისახელა თავი ისლამისტთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში, მეთაურობდა თავის ბრიგადას („ჯეიშ ალ-მუხაჯირს“), რომელიც მნიშვნელოვან და ეფექტურ ძალად გადააქცია.

მას ბრიგადაში ადგილობრივი სირიელებიც ჰყავდა, რომლებიც კარგად იცნობდნენ საომარი მოქმედებების რაიონის ლანდშაფტს და ჩეჩნებიც, რომლებიც გამოცდილი მებრძოლები იყვნენ. 2013 წელს მისმა ქვედანაყოფმა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სირიის სამთავრობო ჯარების ავიაბაზა „მენაჰი“ დაიკავა, რომელიც მანამდე ისლამისტებს მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა. იმავე 2013 წელს აბუ-ომარ ალ-შიშანმა ერთგულება „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერს აბუ-ბექრ ალ-ბაღდადის შეჰფიცა.

აბუ-ომარ ალ-შიშანის სიკვდილის თაობაზე ცნობები ადრე ქურთთა მოლაშქრეებმა რამდენჯერმე გაავრცელეს, მაგრამ შემდეგ მისი დაღუპვა „ისლამურმა სახელმწიფომ“ უარყო და ამის დამადასტურებლად ვიდეომასალაც გამოაქვეყნა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშ კარტერმა თებერვლის ბოლოს განაცხადა, რომ სირიელ ამბოხებულთა იმ ძალებმა, რომლებსაც შეერთებული შტატები ეხმარება, ალყაში მოაქციეს ქალაქი ალშადადი, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ თავის მნიშვნელოვან ბაზად მიიჩნევს.

სწორედ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილმა სირიულ-არაბულმა კოალიციურმა რაზმებმა მოიპოვეს სადაზვერვო ცნობები პარასკევს იქ ალ-შიშანის ყოფნის თაობაზე, რამაც ბიძგი მისცა [საჰაერო] ოპერაციის ჩატარებას.

# მიხეილ ჯანელიძე აშშ-ს ელჩს შეხვდა



9 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს იან კელის.

ოფიციალური ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის საკითხებსა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგზე.

ყურადღება გამახვილდა ნატოს ვარშავის სამიტის სამზადისზე და ამ თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატებისა და პარტნიორი ქვეყნების ჩართულობის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის პოლიტიკური მხარდაჭერისა და ხელშესახები შედეგების მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

მხარეებმა დაადასტურეს წლის განმავლობაში უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლის მნიშვნელობა, რაც გააღრმავებს ქვეყნებს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას. ამ კონტექსტში აღინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოახლოებული ვიზიტი ვაშინგტონში, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია შეხვედრები აშშ-ს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლებთან და სამეცნიერო-ანალიტიკურ წრეებთან.

**ნიუსპრესი**

# იოსებ ჭუმბურიძე: „ბიძინა ივანიშვილს ვერავინ დააბრალებს, რომ იტყუება“

ნონა ცაბაძე

სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პუბლიცისტი, ჟურნალისტიკის დოქტორი, იოსებ ჭუმბურიძე აფასებს.

***– ბატონო იოსებ, საუბარია იმის თაობაზე, რომ ის საპროტესტო აქციები, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს, მართულია. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ეს ეჭვები მეც გამიჩნდა. ეს ეჭვი განსაკუთრებით გამიმძაფრა ერთი ცნობილი მაგისტრის გამოჩენამ. ძალიან მაინტერესებდა, ვის პოზიციას დაიჭერდა. მე ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის გიორგი გაფრინდაშვილი, წარმოდგენა არ მაქვს მასზე, არც როგორც პიროვნებაზე, არც როგორც კაცზე, მაგრამ მყარად ვიცი, რომ ყველა უბედურების სათავე უნივერსიტეტში არის აკადემიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ნაციონალებით.

***– აკადემიურ საბჭოშია პრობლემა?***

– აკადემიური საბჭო არის ყველაზე დიდი პრობლემა. ის ახალგაზრდა, გვარად მეტრეველი, მე არც მას ვიცნობ, რომ აცხადებს, ჩვენ არ მივცემთ რევანშის საშუალებას ნაციონალურ მოძრაობასო, რომ უნივერსიტეტში მოხდეს რევანში, მათ რევანში არც სჭირდებათ, იმიტომ, რომ რევანშის აღება სჭირდება დამარცხებულს და ისინი გამარჯვებულები არიან უნივერსიტეტში. მთლიანად ნაციონალური მოძრაობის ხელშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გუშინ ჩემი ყოფილი სტუდენტი შემხვდა, რომელსაც სტუდენტური მოძრაობიდან ვიცნობ, რომელსაც ვკითხე, რატომ აღარ ჩანხარ-მეთქი და მან მითხრა: ბატონო სოსო, იქ ისეთი სიბინძურეები ხდება, უკვე ისე ღრმად არის წასული ეს ყველაფერი, რომ ამას აღარ ეშველებაო.

***– რატომ, ასეთი რა ხდება?***

– უნივერსიტეტი არის ქვეყნის სახე. ის, რაც ხდება უნივერსიტეტში, ხდება მთელ ქვეყანაში. თუ ეშველება უნივერსიტეტს, ეშველება ქვეყანასაც.

***– რას აკეთებს ამ დროს ლადო პაპავა?***

– სამი ნაციონალი ქალი რომ დასჭყავლებს, კანკალებს შიშით ლადო პაპავა. ცოტა ხნის წინ მითხრეს, რომ ლომის წილი აქვს პაპავას გარექტორებაში როინ მეტრეველს, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ ის რაღაცას შეცვლიდა უნივერსიტეტში. როგორც მე მითხრეს, ბატონი როინიც განხიბლულია და ამბობს, ამას ვერ წარმოვიდგენდიო.

***– ვერ გაამართლა პაპავამ იმედები?***

– რა თქმა უნდა! არათუ ვერაფერს ცვლის პაპავა, შეცვლის სურვილსაც არ ამჟღავნებს.

***– მას შეუძლია ერთპიროვნულად შეცვალოს სიტუაცია, აკადემიური საბჭოს გარეშე?***

– ის ხომ მაინც შეუძლია, პროტესტი გამოთქვას და გადადგეს. თუ არაფერი შეუძლია, გადადგეს!

***– არის საფრთხე, რომ ეს ყველაფერი უმართავ პროცესებში გადაიზარდოს?***

– მე მაშინ დავიჯერებდი სტუდენტების გულწრფელობას, დავიჯერებდი, რომ მათ უნდათ სიტუაციის შეცვლა, თუ ისინი იერიშს მიიტანდნენ არა კანცლერზე, რომელიც არაფერს ცვლის, არამედ აკადემიურ საბჭოზე.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ უნივერსიტეტი არის ქვეყნის სახე და რაც ხდება უნივერსიტეტში, ის ხდება მთელ ქვეყანაშიო. როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს?***

– მე ვარ აქტიური მხარდამჭერი „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის. ამ დროს უამრავი საფუძველი, არაერთი არგუმენტი მაქვს საიმისოდ, რომ ვიყო ნაწყენი. მე გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი გახლავართ და ეს გაზეთი გააჩერეს ნაციონალებმა გიგი უგულავას მერობის დროს.

***– ეს ხელისუფლება უარს ამბობს გაზეთის აღდგენაზე?***

– ასე გამოდის. დღემდე ვერ მოხერხდა გაზეთ „თბილისის“ აღდგენა, მაგრამ მე არასოდეს გამოვდივარ პირადულიდან. თუმცა ეს არ არის პირადული, შეიძლება დედაქალაქს არ ჰქონდეს თავის გაზეთი?!

შეიძლება დღეს სამართლიან არჩევნებზე, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე გველაპარაკებოდნენ ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი ბარამიძე და მიხეილ მაჭავარიანი?! არჩევნების გაყალბების დიდოსტატები?! ვის დავაბრალოთ, რომ მათ კიდევ ვუსმენთ. ეს ხომ ძალიან ძნელი მოსასმენია?! უკვე პერიფერიებში მეუბნებიან, რომ ხალხმა გამორთო ქართული არხები, საკაბელოებს გაუფორმეს ხელშეკრულება იმიტომ, რომ აღარ უყურონ ნაციონალებს და რუსული არხები ჩართეს. ეს ეროვნული ტრაგედიაა!

***– ვერ მოერია ხელისუფლება ნაციონალებს?***

– კი ბატონო, ძალიან ძნელი იყო. მით უმეტეს, ბევრი ლობისტი ჰყავთ ნაციონალებს დასავლეთში. იმიტომ, რომ მილიონი აქვთ მათთვის გადახდილი. მარტო უშიშროების საბჭოს 50 მილიონი სად მიდიოდა, ხომ ვიცით, არა? ლობისტებს უხდიდნენ, როცა ბოკერია იყო უშიშროების საბჭოს მდივანი. ძალიან დიდი ზეწოლაა, მაგრამ არ შეიძლება ოთხი წლის თავზე, კიდევ ხათუნა გოგორიშვილს ვუსმენდეთ. დღეს არამარტო ნაციონალები არიან პრობლემა.

***– კიდევ ვისში ხედავთ პრობლემას?***

– ჩემთვის დიდი პრობლემაა ელისო ჩაფიძე, რომელმაც სერიოზული პრობლემა შეუქმნა უნივერსიტეტს და გეტყვით, რატომ. უნივერსიტეტის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო ის, რასაც აპირებდა დღევანდელი ხელისუფლება.

***– რას გულისხმობთ?***

– იმ დროს პრემიერ-მინისტრი ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილი იყო და პრემიერს ეძლეოდა იმის უფლება, რომ უნივერსიტეტებში დაენიშნა რექტორობის მოვალეობის შემსრულებლები და მერე იმ მოვალეობის შემსრულებელს უნდა უზრუნველყო სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ამაზე არასამთავრობოებმა ატეხეს ერთი ამბავი.

***– და ელისო ჩაფიძეს რაში ადანაშაულებთ?***

– ჩაფიძემ მხარი დაუჭირა არასამთავრობოებს. ის ბიძინა ივანიშვილისგან ასე დავალებულია, ამხელა ამაგი ჰქონდა მასზე, ის მაინც სულიერი შვილია ქართული არასამთავრობოების, ამ ენჯეოებს და თავისუფლების ინსტიტუტს უფრო ეკუთვნის, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. მაშინ ელისო ჩაფიძის პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, რომ ვერ გასულიყო ეს საკითხი. სწორედ მაშინ უნდა გამოეჩინა ხელისუფლებას პრინციპულობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ იქნებოდა ეს მდგომარეობა, რაც დღეს არის.

***– შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილს საკუთარ გუნდში არ გაუმართლა?***

– მე ახლა ვწერ სტატიას, რომელიც იწყება ასე: თურმე, ბიძინა ივანიშვილის და, ქალბატონი მაგული, ცხოვრობს ჭიათურაში. ეს ამბავი „ქართული ოცნების“ აქტიურმა მხარდამჭერმა მიამბო. რამდენიმე ხნის წინ ბატონმა ბიძინამ ერთი ღამე გაათია თავის დასთან. ზის სავარძელში, ძალიან დაფიქრებული, საკმაოდ დიდხანს და ხმას არ იღებს. ეკითხება საკუთარი და, რა იყო ბიძინა, რატომ ხარ ასე ჩაფიქრებული, ასე დადარდიანებული? მან ამოიოხრა და თქვაო, ყველამ მიღალატაო. დამ ჰკითხა, რატომ, ხომ გყავს ერთგულებიცო? კი, ორი-სამი კაციო...



ეს ფაქტი გამოგონილიც რომ იყოს, მაინც იქნებოდა დამაჯერებელი. ზუსტად ასახავს იმას, რა დღეშიც არის დღეს ივანიშვილი. ზოგი რამ მისი ბრალია, ზოგიც არ არის მისი ბრალი. ის მაინც არ იცნობს ქართველ საზოგადოებას. ქართველი საზოგადოება არ არის „ქართული ხმები“, გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე. ქართველი საზოგადოება უფრო სხვაგვარია.

***– დიდი გამოხმაურება მოჰყვა თქვენს პოსტს, რომელიც ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვის დღეს დაწერეთ.***

– ძალიან გამეხარდა, როცა მან თავისი დაბადების დღე, 60 წლისთავი, მთელი დღე მიუძღვნა ბაჩანა ბრეგვაძეს. უბედნიერესი ვიყავი, რომ ვუყურებდი., რა გულწრფელი იყო, სიონში რომ იდგა, მერე მთელი გზა ერთად გავიარეთ მთაწმინდამდე. როგორ იდგა ბოლომდე მის სამარესთან. მანქანიდან რომ უნდა გადმოესვენებინათ ბატონი ბაჩანას ცხედარი, როგორ უთხრა, დაცვა ხომ არ მოგახმაროთო. შემძრა ამან ყველაფერმა, იმიტომ, რომ არანაირი პოზა ამაში არ იყო. გამეხარდა ძალიან, რომ თურმე ამ კაცმა იცის ბაჩანა ბრეგვაძის ფასი. რამდენიმე პოეტისგან კი მოვისმინე, რატომ დაასაფლავეთ მთაწმინდაზეო.

***– გააპროტესტეს?***

– დიახ! ბაჩანა ბრეგვაძისთვის რომ დაგენანება მთაწმინდა. თუ ვინმეს უცხოვრია ჩვენს დროში და მე-20 საუკუნეში წმინდად და პატიოსნად, ეს ბაჩანა ბრეგვაძეა! მერე რამდენი იშრომა, რა განძი დაგვიტოვა. როგორ უნდა დაამადლო ბაჩანა ბრეგვაძეს მთაწმინდა?! ის კულტურის მინისტრი, რომელიც გამოვა ტელევიზიით და იტყვის, ბაჩანა ბრეგვაძეს საბურთალოს პანთეონში ვასაფლავებთო, იმავე დღეს უნდა გათავისუფლდეს მინისტრობიდან! იმიტომ, რომ მან არ იცის, ვინ არის ბაჩანა ბრეგვაძე!

***– თქვენ კეთილგანწყობას არ მალავთ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი მისით იმედგაცრუებულია.***

– მე ასე კატეგორიულად ვერ ვიტყოდი, რომ დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია. ბიძინა ივანიშვილის მთავარი შეცდომა არის დაპირებები. თუმცა ეს არ იყო სააკაშვილის მსგავსი დაპირებები, აფხაზეთს და ცხინვალს რომ გვპირდებოდა. ხომ არსებობს გულწრფელი შეცდომები. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო გაზის, დენის გაიაფება, თორემ არ დაპირდებოდა.

ეს არ იყო ტყუილი. ტყუილსა და შეცდომას შორის არის უზარმაზარი განსხვავება. ამას ვერავინ დააბრალებს ბიძინა ივანიშვილს, ის არ იტყუება. ეს არის შეცდომები და შეცდომა პოლიტიკაში ყველას ეპატიება, ტყუილი კი – არა.

***– როდესაც ვსაუბრობთ, რომ გარემოცვის შერჩევისას შეცდა, რას იტყვით რესპუბლიკელებზე? რამდენად შეცდა მათში, როდესაც ისინი პირველ ადგილზე დააყენა?***

– რესპუბლიკელები აქ არ იგულისხმება არც მოღალატეებში და არც – ერთგულებში. ის თავიდანვე იძულებული იყო, რესპუბლიკურ პარტიასთან ეთანამშრომლა. ეს იყო იძულება. იმის მიუხედავად, რომ ჩემთვის რესპუბლიკელები სრულიად მიუღებელია, ესეც შემიძლია ვაპატიო, რადგან ბატონ ბიძინას სხვა გზა არ ჰქონდა.

## 1956 წლის სისხლისღვრის შემდეგ 60 წელი შესრულდა

თბილისში, „მშრალ ხიდთან“ მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორებიდან 60 წელი შესრულდა.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის კულტის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, რასაც ქართველი საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

1956 წლის თებერვალში სტალინის პიროვნების კულტის მხილება არსებითად სტალინის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. ანტისტალინური კამპანია იღებდა ისეთ შეფერადებას, თითქოს მის რეპრესიულ აქციებს, გარკვეულწილად, დიქტატორის ქართული წარმომავლობა განაპირობებდა.

სტალინის კრიტიკა განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ქართველმა ახალგაზრდობამ. 1956 წლის 3 მარტს თბილისის უმაღლეს სასწავლებელში დაიწყო ცალკეული მანიფესტაციები, 5 მარტისათვის კი სიტუაცია ქალაქში უმართავი გახდა. ეწყობოდა დემონსტრაციები და მიტინგები, სადაც შეკრებილნი მოითხოვდნენ სტალინის რეაბილიტაციას.

საბოლოოდ, ხალხის პროტესტი მაშინდელმა ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო.

9 მარტს საბჭოთა ჯარებმა თბილისის ცენტრში მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა 100 – ზე მეტი და დაიჭრა 300 –მდე ადამიანი (ზუსტი ციფრები უცნობია).

მსხვერპლის საბოლოო რაოდენობა დადგენილი არ არის, თუმცა იყვნენ თვითმხილველები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ჯარისკაცები დაღუპული მანიფესტანტების ცხედრებს პირდაპირ მტკვარში ყრიდნენ.

**ნიუსპრესი**

## გია ვოლსკი: „კოალიციის დაშლას არ აქვს არანაირი საფუძველი და წინაპირობა“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, გია ვოლსკი ფიქრობს, რომ არჩევნების წინ კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის იდეას საფუძველი არ აქვს.

**გია ვოლსკი:**

– სხვადასხვა აზრი მოვისმინეთ ბოლო პერიოდში. პარლამენტის თავმჯდომარემაც არ გამორიცხა ასეთი თემა.



მე პრინციპში მიმაჩნია, რომ ისე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც საზოგადოებას სჭირდება. ვფიქრობ, კოალიციის დაშლას, არჩევნების წინა პერიოდში განსაკუთრებით, არ აქვს არანაირი საფუძველი და წინაპირობა. არჩევნებამდე არის საკმაოდ დიდი დრო დარჩენილი. პროცესების განვითარებიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ, მაგრამ დღესდღეობით ვფიქრობ, რომ ამ იდეას არ აქვს საფუძველი.

**მედიანიუსი**

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „რესპუბლიკური პარტია არის სიმსივნე კოალიციაში“

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ 9 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე რესპუბლიკურ პარტიასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა და კოალიციიდან აღნიშნული პარტიის გასვლის აუცილებლობაზე ისაუბრა.

მჟავანაძის თქმით, კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით რესპუბლიკური პარტიის პოზიცია ქვეყნის მოსახლეობის 90% -ზე მეტის აზრს ეწინააღმდეგება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ იზიარებს მმართველი გუნდის შემადგენლობაში მყოფი პარტიის აზრს, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი ოჯახის შესახებ საკმარისია. მჟავანაძის თქმით, შესაძლებელია ამ ჩანაწერის გაკეთება არჩევნებამდეც მოესწროს.

– რესპუბლიკური პარტია საუბრობს, რომ ქორწინებასთან დაკავშირებით, მათთვის საკმარისია სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ქვეყნის ძირითადი კანონი არის კონსტიტუცია. არის საფრთხე, რომ ვინმემ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, რომ სამოქალაქო კოდექსის ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს.



რესპუბლიკური პარტია არის სიმსივნე კოალიციაში, რომელიც თუ არ მოიკვეთა, კოალიციისთვის მომაკვდინებელ შედეგს გამოიწვევს. პარტია, რომელსაც ყველა სტრატეგიული, ეროვნული ცნობიერების კუთხით განსხვავებული პოზიციები გააჩნია, შეუძლებელია დარჩეს კოალიციაში. თუკი ნება იქნება, შესაძლებელია ეს საკონსტიტუციო ცვლილება არჩევნებამდე მოესწროს, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

**მედიანიუსი**

## რუსთავში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 33 წლის ქალი დაიღუპა

რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 33 წლის ქალი გარდაიცვალა.

როგორც მედიანიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 240-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

გავრცელებული ინფორმაციით, გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვლილის მცირეწლოვანი შვილებიც დაშავდნენ, ორივე მათგანი რუსთავის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი და ამ დროისთვის, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მედიანიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კახა კალაძე: „ბუნებრივი აირის ტარიფი ყველასთვის ერთნაირი იქნება“

**– ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ელექტროენერგიის თვალსაზრისით გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ დარგობრივი ეკონომიკის და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების გაერთიანებული სხდომაზე განაცხადა.**



მისი თქმით, სამწუხაროდ, საქართველო გარკვეულწილად დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებზე, რადგან განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, როდესაც ყველაზე მეტია ელექტროოენერგიის მოხმარება, საქართველოს უწევს მისი შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან.

– ეს ხდება იმის გათვალისწინებით, რომელი შემოგვთავაზებს საუკეთესო ფასს. ეს ქვეყნებია, რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი. თუმცა, ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, იმის გათვალისწინებით, თუ რა რესურსები გააჩნია ქვეყანას, რომ მოვახერხოთ და უახლოეს მომავალში საქართველო ელექტროენერგიის თვალსაზრისით გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა, – განაცხადა კალაძემ.

კალაძე ვარაუდობს, რომ წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით, ბუნებრივი აირის ტარიფი ყველა მოსახლისთვის გათანაბრებული იქნება, – ამის შესახებ მან ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრ, ზურაბ აბაშიძის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც „ვარკეთილგაზის“ მიერ, საკუთარი აბონენტებისთვის, ბუნებრივ აირზე დაწესებული გადასახადის გაზარდას ეხებოდა.

კალაძემ განმარტა, რომ ლიცენზიანტი კომპანიები, როგორიც არის „ვარკეთილგაზი“, პრობლემებს ქმნიან.

**კახა კალაძე:**

– „ვარკეთილგაზი“ ლიცენზიანტი კომპანიაა და ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში გვყავს ასეთი კომპანიები, რადგან ეს კომპანიები ქმნიან პრობლემებს. 2008-2009 წლებში იქნა გადაწყვეტილება მიღებული.

გადაწყვეტილების თანახმად, ლიცენზიანტი კოპანიები თვითონ განახორციელებდნენ გაზიფიცირების სამუშაოებს და შესაბამისად, განხორციელებული ინვესტიციები იქნებოდა ასახული ტარიფში. დღეს ეს ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ენერგეტიკის მინისტრმა ანალოგიურ მაგალითად, როგორიცაა „ვარკეთილგაზი“, მუხიანის შემთხვევაც მოიყვანა და აღნიშნა, რომ აბონენტთა ნაწილს „მუხიანგაზი“ ემსახურება და ნაწილს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“.

მინისტრმა განმარტა, რომ ერთ მეზობელს შეიძლება ჰქონდეს ერთი ტარიფი, მეორეს კი უფრო მაღალი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს. კალაძემ ასევე დასძინა, რომ ანალოგიური პრობლემებია რეგიონებში.

– სამცხე-ჯავახეთში გვაქვს ანალოგიური პრობლემა – ბორჯომში, ბაკურიანში, სადაც მოსახლეობა იმაზე მეტს იხდის, ვიდრე თბილისში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს დისკრიმინაციული მიდგომაა. ამიტომ სამინისტროს დაწყებული აქვს მუშაობა, რომ მოხდეს ტარიფების გათანაბრება, რათა ყველა ქალაქსა თუ რაიონში მოსახლეობამ თანაბრად გადაიხადოს ბუნებრივი აირის საფასური. ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოსთვის შესაძლებელი იქნება ამის განხორციელება, – განაცხადა კალაძემ.

## ვერ ნახავთ ვერც ერთ ვიდეომასალას, სადაც ვსაუბრობდე ტარიფების განახევრებაზე

ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ფიქრობს, რომ ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირება შეასრულეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ეკა ხერხეულიძის კითხვას, წინასაარჩევნო დაპირება ტარიფების განახევრებაზე, იყო მიზანმიმართული ტყუილი თუ არ იყო მთავრობას კომპეტენცია, დანაპირები შეასრულოს.

– მე ვფიქრობ, წინასაარჩევნოდ რაც იყო დადებული პირობა ტარიფების შემცირების თაობაზე, ეს ჩვენ მოვახერხეთ. თუმცა, დღეს გვაქვს განსხვავებული რეალობა, რის გამოც მოგვიწია ტარიფის ძველ ნიშნულზე დაბრუნება. რაც შეეხება განახევრებას, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ვიდეომასალას, სადაც მე გამოვდიოდე და ვსაუბრობდე ტარიფების განახევრებაზე. ასეთი რამ ისტორიაში არ ყოფილა, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მაშივე დაიწყეს მუშაობა ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით.

კალაძის განმარტებით, მაშინვე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული იყო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, სამინისტროს თანამშრომლები, მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლები, რომ მოეხერხებინათ ტარიფების შემცირება.

**კახა კალაძე:**

– პირველი იყო ელექტროენერგიის მიმართულებით დაწყებული მუშაობა. მინდა გითხრათ, რომ ეს წარმატებული იყო, რადგან ჩვენ მოვახერხეთ 4 თეთრით შეგვემცირებინა ელექტროენერგიის საფასური ისე, რომ ეს კომპანიებისთვის არ ყოფილიყო პრობლემა და წინასაარჩევნოდ გაცემული პირობაც ყოფილიყო შესრულებული.

თუ თქვენ საუბრობთ იმაზე, რომ დღეს, უკვე 3 წლის მერე გვაქვს სხვა რეალობა, ქვეყანაში დოლარის გამყარებამ ლართან მიმართებაში გამოიწვია გარკვეული პრობლემები, სერიოზული პრობლემები შეექმნა ენერგეტიკის დარგს და ტარიფის ძველ ნიშნულზე დაბრუნება იყო გარდაუვალი. თუ ეს არ მოხდებოდა, შესაძლებელი იყო მომავალი წლების განმავლობაში საერთოდ ჩამოშლილიყო ენერგეტიკა. ასევე მოხდა ბუნებრივ აირზე ტარიფის 5 თეთრით შემცირება.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, „გაზპრომთან“ ხელშეკრულება უახლოეს დღეებში გაფორმდება.

როგორც მინისტრმა პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, სიტყვიერი შეთანხმება „გაზპრომთან“ მიღწეულია იმის შესახებ, რომ პირობები დარჩეს იგივე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საქართველომ მიიღოს 10% ბუნებრივი აირი სომხეთში ტრანზიტის შედეგად.

– ხელშეკრულება „გაზპრომთან“ გაფორმებული არ არის, თუმცა, ვფიქრობ, უახლოეს დღეებში გაფორმდება. ჩვენი წინადადება გაჟღერებულია უკვე და გადავუგზავნეთ კიდეც ხელშეკრულების შინაარსი. შეთანხმება სიტყვიერად მიღწეულია ანუ ჩვენ ვრჩებით იგივე პოზიციაზე, რაც ბოლო წლების განმავლობაში იყო – მივიღებთ ბუნებრივ აირს 10% ნედლეულის სახით, – განაცხადა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრმა „სოკართან“ მიღწეულ შეთანხმებაზეც ისაუბრა და მას „მნიშვნელოვანი“ უწოდა.

– ბოლო თვეების განმავლობაში გაზმომარაგება იყო ძალიან აქტუალური თემა. ენერგეტიკის სამინისტრო რამდენიმე ფრონტზე ახორციელებდა მოლაპარაკებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარიყო ქვეყნის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა და ის მოთხოვნა, რაც დღეს საქართველოშია, ყოფილიყო დაკმაყოფილებული. წინა კვირას მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება კომპანია „სოკართან“ და ეს არის მისასალმებელი.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით მარიამ ვალიშვილს, რომელიც ჩართული იყო ამ მოლაპარაკებებში. ეს არ იყო მარტივი მოლაპარაკებები, ეს იყო მრავალთვიანი პროცესი. მთავარი და მნიშვნელოვანი არის, რომ ჩვენ მივაღწიეთ საბოლოო შედეგს, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის არის მნიშვნელოვანი, – განაცხადა კალაძემ.

მისვე თქმით, „სოკართან“ მიღწეული შეთანხმების შედეგად, „სოკარი“ საქართველოს დამატებით მოცულობებს მიაწვდის „შაჰდენიზის“ მილსადენის მეშვეობით.

**კახა კალაძე:**

– ჩვენ არ ვართ დამოკიდებული მხოლოდ და მხოლოდ ერთ მომწოდებელზე. მე არაერთხელ განვაცხადე და კიდევ გავიმეორებ, რომ აზერბაიჯანი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი.

ბუნებრივი აირის 90%-ს გვაწვდის აზერბაიჯანი. დამატებითი მოცულობების მოწოდებას ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფდა ე.წ. ყაზახის მილსადენი, რომელიც არის კომპანია „სოკარის“ საკუთრება. დღეს, ერთობლივი მუშაობით, ეს პრობლემა არის გადაჭრილი და ჩვენ მომავალი წლების განმავლობაში გვექნება შესაძლებლობა, მივიღოთ ბუნებრივი აირი „შაჰდენიზის“ მილსადენიდან.

არაერთი შეხვედრა გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარიყო ამ მილსადენში დამატებითი მოცულობების გატარება. ამ მილსადენს ფლობს კონსორციუმი, რომელშიც სხვადასხვა საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიაა გაწევრიანებული.

მინდა მადლობა გადავუხადო „სოკარს“ იმ დიდი ძალისხმევისთვის, რომ მომავალი წლების განმავლობაში საქართველოს უზრუნველყოფა მომხდარიყო ბუნებრივი აირით. კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო – ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ბუნებრივი აირი მივიღოთ „სოკარის“ მილსადენით, „შაჰდენიზის“ მილსადენით და ასევე ტრანზიტით, რასაც რუსეთი აწვდის სომხეთს და ჩვენ 10%-ს ვიღებთ.

მინისტრმა წარმოადგინა ბუნებრივი აირის მოხმარების სტრუქტურა 2012 წლიდან დღემდე.

– 2012 წელს ქვეყანაში ბუნებრივი აირის მოხმარება იყო 1.969 მილიონი, დღეს კი გვაქვს 2.478 მილიონი კუბური მეტრი გაზის მოხმარება. კომერციული აქედან არის დაახლოებით 1,76 მილიონი, მოსახლეობა მოიხმარს 753 მლნ კუბურ მეტრს, თბოელექტროსადგურები კი – 650 მილიონ კუბურ მეტრს, – აღნიშნა კალაძემ.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, არგუმენტების გარეშე ხდება დარგის დისკრედიტაცია.

მისივე თქმით, ამის მიუხედავად, ქვეყანაში ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებიც მიესალმებიან მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტების განხორციელებას.

– როდესაც მოვედით ხელისუფლებაში, ყველა იმ პროექტის განხორციელება დავასრულეთ, რომლებიც იყო დაწყებული. რა თქმა უნდა, იყო ბევრი პრობლემები, თუმცა იყო ბევრი გაკეთებული საქმე ამ მიმართულებით. ის გზა, რომელიც გვაქვს არჩეული, ვფიქრობთ და დარწმუნებული ვართ, ეს არის სწორი მიმართულება, სწორი გზა, სწორი არჩევანი. ჩვენ უახლოეს მომავალში შევძლებთ ავითვისოთ ის რესურსები, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია.

## ბანკი „სულს ამოგხდით“, გადმორიცხულია 7.450.000

კახა კალაძე ენერგეტიკის სამინისტროსთვის დავით ქარსელაძის, მეტსახელად „კალატოზას“ მიერ თანხის გადმორიცხვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას დიდ სიცრუეს უწოდებს , – ამის შესახებ კალაძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ენერგეტიკის სამინისტროს საბანკო ანგარიში საერთოდ არ გააჩნია.

– მოვისმინე გივი თარგამაძის განცხადება. ეს არის დიდი სიცრუე. მე ამაში არ ვადანაშაულებ „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც მათ განმარტეს, ეს უცნობი პიროვნების მიერ არის მიწოდებული.

მე არ მესმის საერთოდ რაზეა საუბარი და რამდენად ღირს ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება, რადგან საუბარია ენერგეტიკის სამინისტროს ანგარიშზე გადარიცხვაზე და ამ დროს ენერგეტიკის სამინისტროს საერთოდ საბანკო ანგარიში არ გააჩნია. ერთადერთი ანგარიში არის ხაზინა და არ მგონია, ხაზინაში ვილაც სამინისტროსთვის თანხებს რიცხავდეს, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ბანკი „კალა კაპიტალი“, რომელზეც გივი თარგამაძე საუბრობდა, საქართველოში არ არსებობს.

**კახა კალაძე:**

– თუ სადმე უცხოეთში არის ასეთი ბანკი, არ ვიცი. ის ბანკი, რომელთანაც მქონდა კავშირი და ვიყავი დამფუძნებელი, იყო „პროგრეს ბანკი“, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩემ მიერ იქნა გასხვისებული. მე არ ვამბობ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიგონა, შეიძლება ვილაცამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ მგონია, რომ ეს არის მიზანმიმართულად წამოწეული თემა, არ ვიცი, ვისი მხრიდან. „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობდა, რომ „გაზპრომთან“ დაკავშირებით შემოტევები ყოფილიყო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, თემა არ დარჩათ არაფერი და რაღაც ხომ უნდა მოეგონონ და მოიგონეს, რომ ვილაცამ გადარიცხვის ფურცელი მიუტანა, რომ კახა კალაძეს ენერგეტიკის სამინისტროზე 1.100.000 დოლარი გადმოურიცხეს.

რაც შეეხება იმას, იცნობს თუ არა დავით ქარსელაძეს, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მასთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

– სხვათა შორის, ბატონ გივი თარგამაძეს ჰკითხეთ, მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს და ოჯახში უზის ისეთი კრიმინალი, რომელზეც თვითონ საუბრობს ხოლმე, ამიტომ მას ჰკითხეთ და უფრო ვრცლად მოგიყვებათ კრიმინალებსა და იმ ადამიანებზე, რომლებთანაც მას პირდაპირი ურთიერთობა აქვს, – განაცხადა კალაძემ.

კახა კალაძე დეპუტატ გივი თარგამაძის მიერ გავრცელებულ ბრალდებასაც გამოეხმაურა და მას იუმორით უპასუხა.

**კახა კალაძე:**

– გუშინ ღამით მომაწოდეს დოკუმენტაცია, რომელშიც ასახულია თანხების გადარიცხვა რუსეთის ფედერაციიდან. გადარიცხვა ვინმე ციციკორე კუკუმაშვილმა გააკეთა, მეტსახელად ბუღამ.

ბანკი არის „სულს ამოგხდით“, გადმორიცხულია 7.450.000, ხოლო საქართველოში მიმღები ბანკია „ბოლო გაფრთხილება“. თანხა გადმორიცხულია პარლამენტის ანგარიშზე და მითითებულია გივი თარგამაძე. ხოლო თანხის გამოყენების დანიშნულებად მითითებულია მახათების და ალკოჰოლის შეძენა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისთვის“, – განაცხადა პარლამენტში გამართული შეხვედრის დასრულების ბოლოს კახა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრმა ჟურნალისტებს იმიტირებული გადარიცხვის ფურცელი აჩვენა.

**ბიპიენი**

# ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დატოვა

საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთს უცვლელად, 8.0 პროცენტზე ინარჩუნებს. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა დღეს გამართულ სხდომაზე მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0 პროცენტს შეადგენს.

– მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლის მიხედვითაც გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა დადებითად აისახება ინფლაციური მოლოდინების ეტაპობრივ შემცირებაზე.

პროგნოზის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ 2016 წლის პირველი კვარტალის შემდგომ ინფლაცია შემცირდება, თუმცა კვლავ მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში იქნება.

თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 5.6 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მიწოდების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული უცხოური ვალუტით სესხების მომსახურების ტვირთისა და იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა.

ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა აქვს ასევე ერთჯერად ფაქტორებს, როგორიცაა ელექტროენერგიის გადასახადის მატება და თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზური გადასახადის ზრდა. შემდგომი თვეების განმავლობაში აღნიშნული ფაქტორების განეიტრალების შემდეგ მოსალოდნელია ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება.

ამასთან, ინფლაციას სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და მსოფლიო ბაზარზე გაიაფებული ნავთობისა და სურსათის ეფექტი ზღუდავს.

წინასწარი შეფასებით, ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 2016 წლის იანვარში 0.8% შეადგინა. საგარეო სექტორი კვლავ რჩება ეკონომიკური ზრდის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად. რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება ნეგატიურად აისახება საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. ფულადი გზავნილების შემცირება და ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მომსახურების ტვირთის ზრდა შიდა მოთხოვნის შესუსტებაზე მოქმედებს.

არსებული პროგნოზების გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკის დამატებითი გამკაცრების საჭიროება არ არის და განაკვეთს უცვლელად 8.0 პროცენტზე ტოვებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 27 აპრილს გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# სასტუმროების მფლობელები წლევანდელი სეზონით უკმაყოფილონი არიან



თხილამურები, თოვლი, ბავშვების ჟრიამული და ხალხმრავლობა — ასეთი სურათი წარმოგვიდგება ყველას, როდესაც საქართველოს ზამთრის კურორტებს ვახსენებთ, თუმცა ამ ზამთარმა ბევრ ადამიანს იმედი გაუცრუა: ბაკურიანსა და გუდაურში მოქმედი სასტუმროების მფლობელები წლევანდელი სეზონით უკმაყოფილონი არიან. ყველაზე მეტად, უშემოსავლო ზამთრის გამო, საოჯახო სასტუმროების მფლობელები ჩივიან: „მსგავსი რამ ჯერ არ მახსოვს, ტურისტები საერთოდ არ მყოლია", — გვითხრა ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროს მეპატრონემ, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.

**სასტუმრო „ედელვეისის" მფლობელმა ნანა ხუციშვილმა კი გულახდილად ისაუბრა თავის პრობლემებზე:**

— ვერ ვიტყვი, რომ წელს ხალხი მაღალი ფასის გამო არ გვყოლია: 45 ლარს ვაფასებთ ერთ ნომერს დღეში სამჯერადი კვებით, ეს საკმაოდ კარგი ფასია, მაგრამ დამსვენებლები მაინც პასიურობენ. მთავარი მიზეზი ის არის, რომ თბილი ზამთარი გვქონდა და თოვლი არ იყო.

ხელოვნური გათოვლიანება მხოლოდ დიდველზე, სასრიალო ტრასებზეა და ტურისტებიც იქვე, ახლომახლო დაბინავებას ამჯობინებენ. მე წელს უცხოელი სტუმრები საერთოდ არ მყოლია.

ქართველები კი, შობა-ახალი წლის დღეებში იყვნენ მხოლოდ 10-12 დღით. თუმცა ყველაფერს მარტო უთოვლო ზამთარს ვერ დავაბრალებ: ძალიან ბევრმა, ვინც აქ ადრე დასასვენებლად ჩამოდიოდა, საკუთარი ბინა შეიძინა ახლად აშენებულ კორპუსებში, ახლა ჩამოდიან და საკუთარ ბინაში ჩერდებიან, როდესაც აქ არ არიან — აქირავებენ. გადასახადებს ვიხდით, რამდენიმე სტუმარიც რომ გვყავდეს, გათბობა მთელ შენობაში ჩართული გვაქვს და ჩვენი მწირი შემოსავალი ამხელა ხარჯებს ვერ ფარავს. ერთი სიტყვით, თამამად ვიტყოდი, რომ წელს ძალიან ცუდი სეზონი გვქონდა.

**მარიკა ჯიქია, სასტუმრო „ვერე პალასი ბაკურიანის" მენეჯერი:**

— მიუხედავად იმისა, რომ ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო გვაქვს, წლევანდელი სეზონი ჩვენთვის სასურველი ნამდვილად არ ყოფილა: 15 იანვრიდან ხალხის ნაკადი ძალიან შემცირდა და ძირითადად, შაბათ-კვირას ვმუშაობდით. ჩემი აზრით, თბილი ზამთარი და დოლარის გაძვირება იყო მიზეზი, რომ წელს ტურისტები მეზობელი ქვეყნებიდანაც არ ჩამოვიდნენ.

ძირითადად ადგილობრივი, ქართველი დამსვენებლები გვყავდა, უცხოელები წინა წლებში სულ გვყავდა, ახალი წლის დღეებში სომეხი და აზერბაიჯანელი ტურისტების სიმრავლე იყო, წელს კი ისინიც არ ჩამოვიდნენ.

მარიკა ჯიქიას თქმით, შარშანდელი სეზონი გაცილებით უკეთესი გამოდგა, რადგან უფრო დიდი ზამთარი იყო:

— შარშან ზამთარმაც ხელი შეგვიწყო, თოვლი მარტშიც კი მოვიდა, ახლა კი, ბაკურიანში უკვე გაზაფხულია. თებერვალიც ძალიან თბილი იყო. ალბათ ამიტომ, აზერბაიჯანიდან მხოლოდ ორი ოჯახი გვესტუმრა. ჩვენი ნაცნობები კრიზისის გამო ვერ ახერხებენ დასასვენებლად სადმე წასვლასო — გვითხრეს.

ასე რომ, წელს მხოლოდ ქართველი დამსვენებლების იმედად დავრჩით, ქართველები კი უფრო იაფფასიან ბინებს ეძებენ. გადავწყვიტეთ სასტუმრო ორ დღეში დავკეტოთ — მხოლოდ ორი, ან სამი ნომრისთვის კი, ამხელა სასტუმრო ვერ იმუშავებს იმიტომ, რომ ხარჯებს ვერ დავფარავთ.

როგორც გუდაურში მდებარე **სასტუმრო „თრუსოს" მფლობელმა ლევან კარიჭაშვილმა გვითხრა**, გუდაურში თოვლი კი არის, მაგრამ ტურისტების სიმრავლე არც იქაურ სასტუმროებში იგრძნობა:

— უნდა ვაღიარო, რომ წლევანდელ სეზონზე სერიოზული პრობლემები გვქონდა: გამომდინარე იქიდან, რომ გუდაურში გაიზარდა საცხოვრებელი კორპუსების და გამქირავებლების რაოდენობა, სასტუმროები მათ კონკურენციას ვეღარ ვუწევთ. ტურისტების ძირითადი მასა ამ კორპუსებში მიდის.

ჩვენთან სტუმრები ძირითადად რუსეთიდან ჩამოდიოდნენ, ახლა იქ კრიზისია, თანაც, რუსებმა და უკრაინელებმა აქ ბინები შეიძინეს და იაფად აქირავებენ, დასასვენებლად კი მაშინ ჩამოდიან, როცა სურთ და საკუთარ ბინაში ისვენებენ. ასე იქცევა ბევრი ქართველიც.

მათ უფრო დაბალი ფასები აქვთ, რადგან გადასახადებს არ იხდიან, ამიტომ ჩამოსული სტუმრების უმეტესობა ამ კორპუსებს ეტანება. ძალიან იკლო საშუალო სეგმენტმაც, ძირითადად დაბალბიუჯეტიანი ტურისტები ჩამოდიან და იაფ ბინებს ეძებენ. ამ სიტუაციამ სასტუმროები ძალიან დააზარალა.

**ინგა ბუქური, საოჯახო სასტუმრო „ქვეშეთის" მეპატრონე:**

— ჩვენი სასტუმრო გუდაურში არ არის, იქამდე 9 კილომეტრით ვართ დაშორებული, თუმცა გუდაური ჩვენგან 10-15 წუთის სავალ გზაზეა. მე მაგალითად, წელს მხოლოდ 10 დღე ვიმუშავე — იანვრის პირველ ნახევარში, იმის შემდეგ გავჩერდი და აღარ მიმუშავია. ტურისტები ახლად აშენებულ კორპუსებში მიდიან, სადაც ოთახები უფრო იაფად ქირავდება: თბილისელებმა გუდაურშიც აიშენეს ამხანაგური ბინები და ასეთი ბიზნესიააწყეს, ჩვენ დიდი შენობა გვაქვს შესანახი, ამიტომ აქ დანახარჯიც უფრო მეტია. მიუხედავად ამისა, მაღალი ფასები ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ ტურისტები მაინც არ მოდიან.

უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის ეს სეზონი ჩავარდა, თუმცა ჩემი ნაცნობებიც, ვინც ამ ბიზნესშია დასაქმებული, იმავეს იმეორებენ. ძალიან ბევრ სასტუმროს საერთოდ არ ჰყოლია ხალხი. ასე რომ, წელს ამ ბიზნესის წარმომადგენლებს ნამდვილად არ გვქონია შემოსავლიანი და კარგი ზამთარი.

**ბიპიენი**

## სოზარ სუბარი: „დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისთვის ბიუჯეტში თანხა გაიზრდება"



პარლამენტში, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით, უცხოეთში მცხოვრებ წარმატებულ ქალებს უმასპინძლეს. კომიტეტის თავმჯდომარემ, თეიმურაზ ჭკუასელმა ემიგრანტ ქალებს საქართველოს წინაშე გაწეულ ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, უცხოეთში წასული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ქალბატონები არიან და მათ საოცარი როლი შეასრულეს ოჯახების და ქვეყნის გადარჩენაში.

სუბარის განმარტებით, სახელმწიფომ გასულ წელს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისთვის პირველად გაითვალისწინა ბიუჯეტში თანხა, რომელიც წელს კიდევ გაიზარდა.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, თეიმურაზ ჭკუასელმა კომიტეტის, ორგანიზაცია „მე დავბრუნდების" და დემოგრაფიული აღორძინების ფონდის სახელით, ბოლო წლებში სამშობლოში დაბრუნებულ ოთხ ემიგრანტ ქალბატონს საქართველოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის სპეციალური დიპლომები გადასცა.

**ინტერპრესნიუსი**

## „ოფიციალური ერევანი „ქართულ გამოცდას" კვლავ ვერ აბარებს"

გავლენიან აზერბაიჯანულ გამოცემა „Эхо"-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია სომხეთის ეკონომიკის მდგომარეობაზე, რომელიც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია: „ამას არც სომხური პრესა არ მალავს. ამრიგად, სპეცსამსახურების ენაზე რომ ვთქვათ, სომხეთში შექმნილი ობიექტური სიტუაციის გასაგებად „დაზვერვას" შეუძლია ცნობები „ღია წყაროებიდანაც" აიღოს" — წერს გამოცემა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

— სომხეთში დღეს მძიმე ვითარებაა შექმნილი. ეკონომიკური კრიზისი, წარმოების მატების არქონა, უფულობა — აი, ეს აწუხებს სომხეთს. გასაგებია, რომ ეკონომიკური კრიზისისაგან არცერთი ქვეყანა არაა დაზღვეული, მაგრამ სომხეთზე ეს ძალიან მწვავედ აისახება. დღემდე ერევანს ძირითად მხსნელად და მაშველად ევრაზიული ეკონომიკური კავშირი („ევრაზეს") მიაჩნდა, მაგრამ როგორც ამ ორიოდე დღის წინ სომხეთის მრეწველ-მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა არსენ კაზარიანმა განაცხადა, „ევრაზეს"-ის ქვეყნებში კრიზისული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, დახმარება ნაკლებმოსალოდნელია.

ერევანს იმედი გაუცრუვდა ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელის ფედერიკა მოგერინის ვიზიტის შედეგებითაც — ევროკავშირი სომხეთს ფულს დიდი-დიდი სირიელი ლტოლვილებისთვის თუ მისცემს.

სომხეთს არაფერი არ გამოუვიდა ირანული გაზის თავის ტერიტორიაზე გატარების — საქართველოსკენ ტრანზიტის საკითხშიც: სულ ახლახან თბილისმა და ბაქომ მოილაპარაკეს, რომ საქართველო მისთვის საჭირო დამატებით გაზს აზერბაიჯანისაგან მიიღებს, ძვირადღირებული ირანული გაზის იმპორტის საკითხი კი დღის წესრიგიდან უკვე ამოვარდა.

საერთოდ, სომხეთს ტრანზიტში ბედი არ წყალობს — აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებები, ცნობილი მიზეზების გამო, ერევნისათვის დახურულია. რაც შეეხება სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებებს, აქაც პრობლემებია: არ მუშაობს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი. ერთადერთი, რითაც სომხეთს შეუძლია ისარგებლოს, ავტოტრანსპორტია, მაგრამ პერიოდულად ამ სფეროშიც სირთულეები წარმოჩნდება ხოლმე.

აშკარაა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სრული განვითარებისათვის აუცილებელი ხდება პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარება რუსეთსა და საქართველოს შორის, მაგალითად, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა.

## უკრაინაში გიზო უგლავას ძველი ცოდვები გაუხსენეს

უკრაინული პორტალი „Информационный центр" საქართველოდან უკრაინაში გადასული ჩინოვნიკების შესახებ სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარი უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე გიზო უგლავას შესახებაცაა.

როგორც პორტალი აღნიშნავს, გასაკვირია, მაგრამ უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე საკუთარ სამშობლოში სწორედ კორუფციის ბრალდებით იძებნება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ ფრაგმენტს სტატიიდან:

— გიზო უგლავა — უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. გიზო უგლავა „პოპულარული გახდა" კორუფციასა და სხვა მრავალ დანაშაულში ბრალდებული თბილისის ექს-მერის ადვოკატობით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ უკრაინის პრესა გიზო უგლავას საქართველოს პროკურატურის სისტემის რეფორმატორად და კორუფციასთან მებრძოლად წარმოსახავს, მაგრამ მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს — თუ გიზო უგლავა კორუფციას მედგრად ებრძოდა, მაშინ რატომ იცავდა კორუფციაში ბრალდებულ გიგი უგულავას? პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არ გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა წყაროებით ირკვევა, რომ გიზო უგლავა საქართველოში იძებნება... არ გაგიკვირდეთ — სწორედ კორუფციისა და კრიმინალური დანაშაულისა გამო, — წერს გამოცემა.



**ნიუსპრესი**

## ვანო მთვრალაშვილი: „საქართველოში საწვავის ფასების მკვეთრი მატება მოსალოდნელი არ არის"



საქართველოში საწვავის ფასების ტოტალური და მკვეთრი მატება მოსალოდნელი არ არის, — ამის შესახებ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის პრეზიდენტმა, ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა.

მთვრალაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ბოლო დღეებში ნავთობზე ფასების მატების ტენდენცია შეინიშნება, ეს ქართულ ბაზარზე გავლენას ვერ მოახდენს.

— ბოლო დღეების განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ნავთობზე ფასმა მოიმატა. ლონდონში, ბრენტის მარკის ბარელი ნავთობის ფასი 40 დოლარიან ნიშნულამდე მივიდა და ეს შეიძლება ითქვას, 20 დეკემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ანუ საერთაშორისო ფასების ტრენდი ზოგადად აღმავალია.

მოიმატა საერთაშორისო ფასებმა პლაცის მიხედვით. ეს არის მოცემულობა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მოცემულობის ასახვა უახლოეს კვირაში ან რამდენიმე დღეში მოხდება ჩვენს ბაზარზე, — განაცხადა მთვრალაშვილმა.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის პრეზიდენტი საქართველოში, საწვავზე არსებული დაბალი ფასების შენარჩუნების რამდენიმე მიზეზსაც ასახელებს.

**ვანო მთვრალაშვილი:**

— მთავარი მიზეზი არის ის, რომ დღეს საერთაშორისო ბაზარზე ფასების პროგნოზსა და გათვლას ვერავინ ვერ ახერხებს. დღეს თუ ფასმა მოიმატა, ხვალ შეიძლება შემცირდეს. მეორე საკითხია იმპორტი, რომელსაც კომპანიები ინდივიდუალურ რეჟიმში ახორციელებენ და აქედან გამომდინარე, თითოეულ კომპანიას, ინდივიდუალური გრაფიკიდან და იმპორტირებული საწვავის მოცულობიდან გამომდინარე აქვს მარაგებიც და სხვადასხვა ფასში შეძენილი საწვავი. ასევე არის კონკურენციის ფაქტორიც — დღეს 20-მდე იმპორტიორი კომპანიაა საქართველოში. მათ შორის არის მნიშვნელოვანი კონკურენცია.

შეიძლება ზოგიერთი კომპანიისთვის ფასმა მართლა მოიმატოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მთელს სეგმენტს და სექტორს შეეხება. აქედან გამომდინარე, საფრთხეს, რომ დღეს ყველა კომპანიის მიერ მოხდება საწვავზე ფასების ტოტალური მატება, ჩემი გადასახედიდან ვერ ვხედავ.

შეიძლება რომელიმე კომპანიამ, რომელიც არის ბაზარზე, ჩათვალოს, რომ არ აქვს რესურსი დაბალი ფასი შეინარჩუნოს და ტარიფი გაზარდოს, თუმცა ბაზარი კონკურენტულია და კომპანიები ეცდებიან დაბალი ფასი რაც შეიძლება ხანგრძლივად შეინარჩუნონ.

**ბიპიენი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ბლუმბერგი ტრამპის წინააღმდეგ



ტრამპი რესპუბლიკელთა შორის ჯერჯერობით ლიდერობს. ალბათობა იმისა, რომ ის რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი გახდება, დიდია. ეს კი ბევრი ამერიკელის შეშფოთებას იწვევს. ტრამპი არა მხოლოდ ტლანქი და უხეშია, მას არ გააჩნია ჩამოყალიბებული ღირებულებები, არც პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილება აქვს.

როგორ დავბლოკოთ ტრამპი? – ეს კითხვა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა. ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა მაიკლ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ მზადაა, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, პრეზიდენტის პოსტზე კენჭი იყაროს:

– ახლა ტრამპის დაბლოკვაა მთავარი! მზადა ვარ, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, პრეზიდენტობაზე კენჭი ვიყარო! – თქვა ბლუმბერგმა.

ნიუ-იორკის მერი ებრაულ ოჯახში დაიბადა. ის მსხვილი ბიზნესმენია. „ფორბსის“ ცნობით, ბლუმბერგის ქონება 36 მილიარდ დოლარს აღწევს. ის ბევრად მდიდარია, ვიდრე ტრამპი. ნიუ-იორკის მერის პოსტზე მუშაობისას მან თავი გამოიჩინა, როგორც ბრწყინვალე ორგანიზატორმა და კარგმა მეურნემ. ბლუმბერგის თაოსნობით ქალაქში უამრავი სასიკეთო გარდაქმნა განხორციელდა. მისი პოპულარობაც როგორც ნიუ-იორკში, ისე მთელ ქვეყანაში დიდია.

ბლუმბერგის გადაწყვეტილებამ ბევრი გააოცა. არანაკლები განცვიფრება გამოიწვია მისმა ბოლო გადაწყვეტილებამაც. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტობაზე კენჭს აღარ იყრის.

ბლუმბერგმა ეს იმით ახსნა, რომ პრეზიდენტის პოსტზე მისი წამოყენება სიტუაციას კიდევ უფრო დახლართავდა.

– ამ შემთხვევაში არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ძალები დაიქსაქსება, რაც ტრამპის ან ტედ კრუზის გამარჯვებით დასრულდება, – თქვა ბლუმბერგმა.

შეკითხვაზე, ტედ კრუზმა რა დაგიშავათო, ბლუმბერგმა მიუგო:

– ის მეტისმეტად ახალგაზრდაა საიმისოდ, რათა აშშ-ს პრეზიდენტი გახდეს.

ამას გარდა ბლუმბერგმა მეორე სცენარიც არ გამორიცხა, როცა პრეზიდენტობის სამი კანდიდატი (ტედ კრუზი, ჰილარი კლინტონი და ტრამპი) ხმების ერთნაირ რაოდენობას მიიღებენ. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს კონგრესი აირჩევს. ბლუმბერგს ეს არსებულ სიტუაციაში ოპტიმალურ ვარიანტად არ მიაჩნია.

– კონგრესის ორივე პალატა რესპუბლიკელების ხელშია. კონგრესმენთა უმრავლესობას არც ჰილარი კლინტონი ეპიტნავება და არც – ტრამპი. მაშასადამე, პრეზიდენტი ტედ კრუზი გახდება, რაც ასევე არ მსურს, – ამბობს ბლუმბერგი.

მან თქვა, რომ ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს.

– არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ტრამპი პრეზიდენტი გახდეს! – ამბობს ბლუმბერგი,

# თავდასხმა თელ-ავივში

ისრაელის დედაქალაქში უცნობმა მამაკაცმა გამვლელებს ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ რესტორანში შევარდა და სროლა ატეხა. შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ცხრა მძიმედ დაიჭრა.

პოლიციამ თავდამსხმელი მოკლა.

მოკლული მამაკაცი პალესტინელი აღმოჩნდა.

ბოლო ხანებში ისრაელის პოლიციამ 183 პალესტინელი მოკლა. ეს იმ მომენტში ხდებოდა, როცა პალესტინელები ებრაელებს ავტომატური იარაღიდან ცეცხლს უხსნიდნენ, ან ცდილობდნენ მათთვის მანქანა დაეჯახებინათ.



# ჯო ბაიდენი: „ნადეჟდა სავჩენკო უკრაინული ღირსების სიმბოლოა!“

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა რუსეთის ხელისუფლებას ნადეჟდა სავჩენკოს დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდა. ბაიდენმა აღნიშნა, რომ სავჩენკომ ყველა გამოცდას ღირსეულად გაუძლო.

– ნადეჟდა სავჩენკო უკრაინელი ერის ღირსებისა და გაუტეხელობს სიმბოლოა, – თქვა ბაიდენმა

პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლები სხვა ქვეყნების საქმეებში უხეშად ერევიან. ზახაროვამ უარყო, რომ სავჩენკო გაიტაცეს და რუსეთში ძალით გადაიყვანეს, ასევე ისიც, რომ მას ფსიქიატრიული ექსპერტიზა ძალით ჩაუტარეს.

– არც ერთი ეს ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება, – ამბობს ზახაროვა.

მან თქვა, რომ სავჩენკოს ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხს სასამართლო გადაწყვეტს. ზახაროვამ ხაზი გაუსვა, რომ სასამართლო ობიექტურად წარიმართა.

– განაჩენიც ობიექტური იქნება, – ამბობს ზახაროვა.

ამასობაში ევროპარლამენტის დეპუტატებმა ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ პერსონალური სანქციების შემოღება მოითხოვეს. მიზეზი ნადეჟდა სავჩენკოს უკანონო პატიმრობაა.

– სავჩენკო პირადად პუტინის პატიმარია, – აცხადებენ ევროპარლამენტარები.

იმ პირებს შორის, ვის მიმართაც სანქციების შემოღებას მოითხოვენ, მოხვდნენ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის შეფი ბისტრიკინი, ფსბ-ს უფროსი ბორტნიკოვი, რუსეთის დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე პუშკოვი და ა.შ. სულ 28 ადამიანი.



დოკუმენტს, რომელიც ევროპული დიპლომატიის მეთაურს ფრედერიკა მოგერინის გაეგზავნა, ხელს 57 დეპუტატი აწერს.



# გორლოვკაში ორი რუსი სამხედრო ჩააქვავეს

დონბასში ლოკალური ხასიათის ბრძოლები არ ცხრება. გასული დღე-ღამის განმავლობაში უკრაინელმა მეომრებმა კონტროლი დაამყარეს სტრატეგიული მნიშვნელობის შოსეზე გორლოვკა–დონეცკი.

– ეს სერიოზული მარცხია! ამაში ბრალს დონეცკის რესპუბლიკის ამჟამინდელ ხელმძღვანელს ზახარჩენკოს ვდებ, – განაცხადა გორლოვკელი მებრძოლების ყოფილმა ლიდერმა იგორ ბეზლერმა.

თავად გორლოვკაში უმძიმესი კრიმინოგენული მდგომარეობაა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩააქვავა ორი რუსი სამხედრო, რომლებმაც გორლოვკის მცხოვრები ერთი ქალი მოკლეს და გაძარცვეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.



ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# ფორბსმა აუქციონზე ნაპოლეონის ნივთები გამოიტანა




მილიარდერმა კრისტოფერ ფორბსმა აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა მის კოლექციაში არსებული ნაპოლეონ ბონაპარტისა და ნაპოლეონ III-ს პირადი ნივთები. ამ ინფორმაციას ფრანგული აუქციონის სახლი ოსენატის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

შეტყობინებაში ნათქვამია, რომ თითქმის მთელი კოლექცია, რომელშიც ათასზე მეტი საბუთი და წერილები შედის, ასევე 500-ზე მეტი სურათი, აუქციონის პირველ ორ დღეს გამოისყიდეს.

დაახლოებით 40 ლოტი სხვადასხვა მუზეუმებმა შეისყიდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# სტატისტიკა, ფსონები

# მერვედფინალები ევროპის ლიგაზე ესპანურ-ინგლისური დერბებით იწყება

დღეს გაიმართება ევროპის ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩები.

**შახტარი – ანდერლეხტი 1.67 3.6 5.5**

მერვედფინალური დაპირისპირების პირველ მატჩში შახტარი ისტორიაში პირველად შეხვდება ანდერლეხტს, რომელსაც ეს ტურნირი შორეულ, 1983 წელს აქვს მოგებული.

დღემდე შახტარს 4 საშინაო მატჩი არ წაუგია ბელგიურ კლუბებთან და ამ სერიის გაგრძელებას აპირებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ 1 მოგება და 3 ფრე აქვს. ყველა მატჩი ბრიუგესთან.

ანდერლეხტს 6 მატჩი აქვს გამართული უკრაინელებთან, აქედან 5 მოიგო და მხოლოდ 1 წააგო.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებულ ტარას სტეპანენკოსა და ფრედთან ერთად, ტრავმირებული მარსიო ავაველო და დენტიონიოც დააკლდება. ტრავმებს იშუშებენ ბელგიელები – ივან ობრადოვიჩი და აარონ ლეიაისეკა.

ევროპის ლიგის განაცხადშია ქართველი გიორგი არაბიძეც, მაგრამ რამდენად ენდობა დონეცკელთა მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ და მისცემს სათამაშო დროს, დღეს გამოჩნდება.

**მსაჯები (პორტუგალია):** არტურ დიაში (მთავარი); ბერტინუ მირანდა, რუი ტავარეში (ასისტენტები); ჟოაუ პინეირუ, კოსმე მაშადუ (დამხმარე ასისტენტები), ბრუნო როდრიგეში (მეოთხე).

**ბაზელი – სევილია 3.25 3.3 2.2**

ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიან. მიზეზი ალბათ მარტივია – ბაზელი მუდმივად ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს, სევილიას კი ამის ფუფუნება ნაკლებად აქვს თავისი ჩემპიონატიდან გამომდინარე.

შვეიცარიელები ესპანურ კლუბებთან წარმატებული თამაშით ვერ დაიკვეხნიან – 16 მატჩში სულ 2 მოგება აქვთ და 4 ფრე.

სევილია ერთხელ შეხვდა შვეიცარიულ კლუბს და გრასჰოპერსს 4:0 მოუგო.

შვეიცარიელები ბრელ ამბოლოს დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისებენ, ხოლო ტრავმების გამო მანუელ აკანჯის და ჟან-პოლ ბოეტიუსის. ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს სევილიელი ნიკოლას პარეხა.

**მსაჯები (ინგლისი):** ენტონი ტეილორი (მთავარი); სტიუარტ ბერტი, გარი ბისუიკი (ასისტენტები); ანდრე მარინერი, რობერტ მედლი (დამატებითი ასისტენტები); მაიკლ მალარკი (მეოთხე).

**დორტმუნდი – ტოტენჰემი 1.57 3.8 6.0**

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წყვილი მერვედფინალებში. აქამდე ერთმანეთში არ უთამაშიათ, მაგრამ ევროთასებზე თამაშის დიდი გამოცდილება ორივე გუნდს აქვს. აქედან გამომდინარე, მეტოქე ქვეყნების გუნდებსაც ხშირად შეხვედრიან.

შორეულ, 1966 წელს დორტმუნდმა ნახევარფინალში ვესტ ჰემი გამოთიშა, ხოლო ფინალში ლივერპულს დამატებით დროში აჯობა. საერთოდ ინგლისელებთან დადებითი ბალანსი აქვს, განსაკუთრებით საშინაო მატჩებში – 5 მოგება, 3 ფრე და მხოლოდ 1 წაგება.

ტოტენჰემსაც კარგად გამოსდის გერმანელებთან თამაში და დადებითი ბალანსი აქვს. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

დორტმუნდი ტრავმირებული სოკრატის პაპასტატოპულოსის გარეშე დახვდება მეტოქეს, რომელიც დისკვალიფიცირებული დელე ალის გარდა, ტრავმირებულ იან ვერტოგენსა და კლინტონ ნჯიეს მოისაკლისებს.

**მსაჯები (თურქეთი):** ჯიუნეტ ჩაქირი (მთავარი); ბახატინ დურანი, ტარიკ ერგიუნი (ასისტენტები); ხუსეინ გეჩეკი, ბარიშ შიმშეკი (დამხმარე ასისტენტები); ჩემ სატმანი (მეოთხე).

**ფენერბახჩე – ბრაგა 1.75 3.5 5.0**

აქამდე ერთმანეთში არ უთამაშიათ, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბრაგას სამი მატჩი აქვს თურქეთში მოგებული და ეს ასპროცენტიანი მაჩვენებელია. უფრო სუსტად გამოიყურება საშინაო მატჩებში. ფენერბახჩეს კი პორტუგალიურ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვს – 4 მოგება, 4 მარცხი.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული დიეგოს გარდა, აბდულაი ბა და ლაზარ მარკოვიჩი ტრავმების გამო დააკლდება. ბრაგა კი საბრძოლო შემადგენლობით ჩადის თურქეთში და ასპროცენტიანი სერიის გაგრძელებას ეცდება.

**მსაჯები (საფრანგეთი):** კლემან ტიურპენი (მთავარი); ფრედერიკ კანო, ნიკოლა დანო (ასისტენტები); ბენუა ნასტიენი, ფრედი ფორტელი (დამატებითი ასისტენტები); სირილ გრინგორი (მეოთხე).

**ვილიარეალი – ლევერკუზენი 2.15 3.2 3.2**

2011 წელს, ამავე სტადიაზე გადაეყარნენ გუნდები ერთმანეთს და ვილიარეალმა ორივე მატჩი მოუგო გერმანელებს: შინ 2:1, სტუმრად – 3:2. არც სხვა გერმანულ კლუბებთან დაუთმია არაფერი, მხოლოდ ბაიერნთან აქვს ორივე მატჩი წაგებული.

ლევერკუზენს კი აშკარად უჭირს ესპანელებთან თამაში – განსაკუთრებით სტუმრად, სადაც მხოლოდ 3 მატჩი მოიგო, 2 ფრედ ითამაშა და 10 წააგო.

მასპინძლებს ტრავმის გამო ჯოვანი დოს სანტოსი, ხაიმე კოსტა და სამუ დააკლდებათ, ამავე მიზეზით ლევერკუზენის რიგებში ვერ ითამაშებენ ლარს ბენდერი, ემერ ტოპრაკი, ჩარლზ არანგისი და რობერტო ჰილბერტი.

**მსაჯები (იტალია):** ჯანლიკა როკი (მთავარი); ელენიტო დი ლიბერატორე, ჯანლუკა კაპიოლატო (ასისტენტები); ანტონიო დამატო, კარმინე რუსო (დამატებითი ასისტენტები); მაურო ტონოლინი (მეოთხე).

**ბილბაო – ვალენსია 1.75 3.5 5.0**

ესპანური დერბი. ცხადია, ეს გუნდები ერთმანეთს კარგად იცნობენ და შინაურ ჩემპიონატშიც ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ევროთასებზე კი პირველად გადაეყარნენ.

ბასკებს იბაი გომესი და ინიაკი უილიამსი დააკლდებათ, სტუმრებს – დენის ჩერიშევი.

**მსაჯები (ჰოლანდია):** ბიორნ კეიპერსი (მთავარი); სანდერ ვან რუკელი, ერვინ ზეინსტრა (ასისტენტები); პოლ ვან ბუკელი, რიჩარდ ლისველდი (დამატებითი ასისტენტები); მარიო დიკსი (მეოთხე);

**ლივერპული – მანჩესტერი 2.0 3.3 3.75**

კიდევ ერთი დერბი – ინგლისური. ნისლიანი ალბიონის ორი ყველაზე წარმატებული კლუბი ევროარენაზე ერთმანეთს პირველად გადაეყარნენ. შინაური ჩემპიონატის ამბები შორს წაგვიყვანს.

დანაკლისი ორივე გუნდს აქვს. უფრო სოლიდური მანჩესტერს: დისკვალიფიცირებულია მანჩესტერელი ჯესე ლინგარდი. ტრავმები აწუხებთ: ლუკასს, ჯორდან როსიტერს (ლივერპული), ანტონიო ვალენსიას, ბასტიან შვაინშტაიგერს, ლუკ შოუსა და ეშლი იანგს (მანჩესტერი).

მსაჯები (ესპანეთი): კარლოს ველასკო კარბალიუ (მთავარი); რობერტო ალონსო, ხუან იუსტე (ასისტენტები); ხესუს ხილ მანსანო, კალოს დელ სერო (დამატებითი ასისტენტები); ანხელ ნავარო როდრიგესი (მეოთხე);

**სპარტა – ლაციო 2.7 3.1 2.7**

4-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ეს გუნდები, მხოლოდ პლეი ოფის სტადიაზე პირველად. 2000 წელს ლაციომ ორივე მატჩი მოუგო მეტოქეს: 3:0 შინ, 1:0 – სტუმრად. 2003 წელს კი უპირატესობა უკვე ჩეხური კლუბის მხარეს იყო: სპარტამ შინ 1:0 მოიგო, ხოლო რომში გამართული მატჩი 2:2 დასრულდა.

საერთოდ, სპარტა იტალიურ გუნდებთან ძალიან ცუდად თამაშობს, სტუმრად კი საშინელი ბალანსი აქვს – 3 ფრე და 8 წაგება. შინ უფრო „ეჭიდავება" 3 მოგება, 6 ფრე და 2 მარცხი.

ლაციო კი სპარტას გარდა სხვა ჩეხურ კლუბს არ შეხვედრია.

სპარტა სათადარიგო მეკარე მარეკ შტეხს მოისაკლისებს, ხოლო ლაციოს შტეფან დე ვრეი დააკლდება.

**მსაჯები (ესპანეთი):** ალბერტო უნდიაო მალიენკო (მთავარი); რობერტო დელ პალომარი, რაულ კაბანერო (ასისტენტები); კარლოს გომესი, ხავიერ ესტრადა (დამატებითი ასისტენტები); მიგელ მარტინესი (მეოთხე).



# რეალის და ვოლფსბურგის დამსახურებული მეოთხედფინალები



გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ორი განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრა.

**რეალი – რომა 2:0**

1:0 რონალდუ (64), 2:0 ხამესი (68)

**რეალი:** ნავასი, დანილო, პეპე, რამოსი, მარსელო, კროოსი, მოდრიჩი (ხესე 76), კაზემირო (კოვაჩიჩი 84), ხამესი, რონალდუ, ბეილი (ვასკესი 61)

**რომა:** სჩესნი, ფლორენცი, მანოლასი, ძუკანოვიჩი, დინიე, პიანიჩი (ვაინკე 46), კეიტა (მაიკონი 86), სალაჰი, პეროტი, ელ შაარავი (ტოტი 74), ჯეკო

ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ რეალი შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდოდა, მაგრამ კონკრეტულად ამ მატჩზე პროგნოზის გაკეთებას ერიდებოდნენ. ასეც აღმოჩნდა – თითქმის მთელი საათის განმავლობაში სანტიაგო ბერნაბეუზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა და ორივე გუნდს ჰქონდა წარმატების შანსი.

60 წუთის შემდეგ რომაელებმა ტემპი დააგდეს, რამაც მადრიდელებს არეალი გაუშალა და გამოიყენეს კიდეც. 5-წუთიან მონაკვეთში ვოიცეხ სჩესნის კრიშტიანუ რონალდუმ და ხამეს როდრიგესმა ორჯერ გაუტანეს და მასპინძლებს უფლება მიეცათ, მატჩი მშვიდად ჩაემთავრებინათ. მხოლოდ ერთი შანსი მიეცათ რომაელებს, რომ პრესტიჟის გოლი მაინც გაეტანათ, მაგრამ ამაშიც არ გაუმართლათ, როდესაც პეროტის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რონალდუ**

რამდენიც არ უნდა ვაკრიტიკოთ პორტუგალიელი ფეხბურთელი, მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რამდენი სარგებელი მოაქვს გუნდისთვის, ხოლო პრობლემა მეტოქისთვის. რომასთან გაიტანა გოლი და გააკეთა საგოლე პასი.

**ზინედინ ზიდანი: რეალის მთავარი მწვრთნელი:**

– რთული მატჩი იყო, მაგრამ ჩვენს მიზანს მივაღწიეთ – მომდევნო ეტაპზე გავედით და გოლი არ გაგვიშვია. 90 წუთის განმავლობაში მოედანზე შესაძლოა ბევრი რამ მომხდარიყო, რადგან მეტოქედ ძალიან კარგი და სწრაფი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავდა. ახლა შეგვიძლია კენჭისყრაზე ვიფიქროთ და ცოტა მოვდუნდეთ. ჩვენ უნდა დავისვენოთ.

**ლუჩანო სპალეტი, რომას მთავარი მწვრთნელი:**

– რეალობაა, რომ ორჯერ ანგარიშით 0:2 წავაგეთ. რეალის მეოთხედფინალში გასვლა აბსოლუტურად ლოგიკურია. ფსიქოლოგიის კუთხით უნდა მოვუმატოთ. იმ დონეზე არ ვითამაშეთ, რომელზეც უნდა ვთამაშობდეთ. სინანულს არა მარცხი, არამედ ის იწვევს, რომ არასწორად ვითამაშეთ. ეს უნდა შევცვალოთ. მოედანზე უფრო აგრესიულები უნდა ვიყოთ და მეტი თავდაჯერება გამოვავლინოთ.

**ვოლფსბურგი – გენტი 1:0**

1:0 შურლე (74)

ვოლფსბურგი: კასტელსი, როდგირესი, დანტე, კნოხი, ტრაში, ლუის გუსტავო, გილვოგი, არნოლდი (ვიეირინია 83), დრაქსლერი (კალიგური 78), შურლე (შაფერი 89), კრუზე

გენტი: სელსი, რაფინია (ფოკეტი 78), ნილსენი, გერშონი, ასარე, მატონი (სეიფი 68), კუმსი, ნეტო, დეიაგირი, საიმონი (კულიბალი 70), მილიჩევიჩი

გენტის ზღაპარი დასრულდა. „ხარები" გახდნენ მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის მთავარი სენსაციის ავტორები, მაგრამ ეს მხოლოდ მერვედფინალს ეყო. ვოლფსბურგი ორივე მატჩში უკეთ გამოიყურებოდა და დამსახურებულად გავიდა შემდეგ ეტაპზე.

ესეც ისტორიული მოვლენაა – მგლები მეოთხედფინალში პირველად არიან და კიდევ მეტის იმედი აქვთ. ამის თქმის უფლებას ვოლფსბურგელთა მწვრთნელს ალბათ ის აძლევს, რომ გენტთან გუნდი ისე თამაშობდა, რომ მარაგი დაიტოვა და ბოლომდე არ დახარჯულა. უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება.

პირველ ტაიმში მასპინძლები უფრო კონტრშეტევაზე მოქმედებდნენ, ხოლო მეორე ტაიმში ბურთი ჩაიგდეს და სრულიად აკონტროლებდნენ. სტუმრებს გოლის გატანა სჭირდებოდათ, მაგრამ ამისთვის ბურთი უნდა ჰქონოდათ, რის საშუალებას ვოლფსბურგი არ იძლეოდა.

ანდრე შურლეს გოლმა კი სრულიად გატეხა გენტი, თუმცა მაინც თავაწეული ტოვებენ ლიგას.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯულიან დრექსლერი**

მიუხედავად იმისა, რომ გოლი შურლემ გაიტანა, საუკეთესოდ მაინც დრექსლერი მივიჩნიეთ. სწორედ მან შექმნა გოლი და, საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში უამრავ პრობლემას უქმნიდა მეტოქეს.

**დიტერ ჰეკინგი, ვოლფსბურგის მთავარი მწვრთნელი:**

– ჩემი გუნდის მისამართით თბილი სიტყვების თქმა მსურს. ამ დაპირისპირებაში ფავორიტები ვიყავით, რაც ორი საუცხოო თამაშით დავამტკიცეთ. ბევრი ფიქრობდა, რომ ამ მეტოქეს იოლად გავუმკლავდებოდით, მაგრამ ყველაფერი ასე ადვილი არ აღმოჩნდა.

**ჰეინ ვანჰაზებრუკი, გენტის მთავარი მწვრთნელი:**

– ორგანიზებულად ვმოქმედებდით და გოლის გატანა პირველებს შეგვეძლო. ანგარიში 1:0 რომ გამხდარიყო ჩვენ სასარგებლოდ, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო. ამის მიუხედავად, კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ჩემპიონთა ლიგას კარგი თამაშით დავემშვიდობეთ. ამ სეზონმა მომავლის რწმენა ჩამისახა.

## შედეგები

**8 მარტი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| რეალი-რომა | 2:0 |
| ვოლფსბურგი-გენტი | 1:1 |
| **ინგლისი. ასოციაციის თასი** | |
| ჰალი-არსენალი | 0:4 |
| **ინგლისი. ჩემპიონშიპი** | |
| ბლექბერნი-ბირმინგემი | 2:0 |
| კარდიფი-ლიდსი | 0:2 |
| ფულემი-ბარნსლი | 2:3 |
| ჩარლტონი-მილტონი | 0:0 |
| ჰადერსფილდი-რედინგი | 3:1 |
| ნოტინგემი-პრესტონი | 1:0 |
| ქპრ-დერბი | 2:0 |
| როტერჰემი-მიდლსბრო | 1:0 |
| ვულვზი-ბრისტოლი | 2:1 |
| **შოტლანდია. ჩემპიონშიპი** | |
| პარტიკი-აბერდინი | 1:2 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| კორონა-ვისლა | 1:1 |
| პიასტი-შლასკი | 1:0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## მაკედონიაში ტურისტმა სელფისთვის გედი იმსხვერპლა



მაკედონიაში ბულგარელმა ტურისტმა ისე დატანჯა თეთრი გედი მასთან სელფის გადაღებისთვის, რომ ფრინველი მის ამ მცდელობას ემსხვერპლა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მას მედია ავრცელებს.

თვითმხილველთა თქმით, ქალმა ფრინველს ფრთაში ჩაავლო ხელი და ისე ამოათრია ორქიდის ტბიდან. მიუხედავად იმისა, რომ გედი მისი ხელიდან გასხლტომას ლამობდა, მას მისთვის ხელი არ გაუშვია, ვიდრე თავისი ფოტოსესია არ დაასრულა, რის შემდეგაც მომაკვდავი ფრინველი იქვე ნაპირზე მიატოვა.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფაუნის წარმომადგენლები ტურისტების ზეწოლას ვერ უძლებენ და მათთან სელფის გადაღების სურვილს მსხვერპლად ეწირებიან.

## სოციალურ ქსელებში კარდაშიანის შიშველი სელფი გამოჩნდა



სოციალური ქსელების მომხმარებელთა უამრავი გამოხმაურება მოჰყვა ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის მიერ საკუთარ ინსტაგრამში გამოქვეყნებულ სელფის, რომელშიც ის სრულიად შიშველია გადაღებული.

– როდესაც ჩასაცმელი არაფერი გაქვს, – ასეთი კომენტარი დაურთო სურათს ცნობილმა ტელევარსკვლავმა.

ინტერნეტში სურათის გამოჩენის შემდეგ, მომხმარებლებმა ფოტოსურათის სხვადასხვა ვარიაციების გამოქვეყნება დაიწყეს, მასზე სხვადასხვა დეტალების დამატებით, ან ტვიტერში მომხდარზე კომენტარების გაკეთებით.

– ადამიანები რატომ ბრაზობენ, როდესაც კიმ კარდაშიანი შიშველ სელფის აქვეყნებს? ეს მას იმდენჯერ აქვს გაკეთებული, რომ მის შიშველ სხეულს თვალდახუჭულიც კი დავხატავ, – დაწერა ტვიტერში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პატარა მამაკაცები და მსუქანი ქალები ნაკლებს გამოიმუშავებენ



დიდ ბრიტანეთში პატარა მამაკაცები და მსუქანი ქალები ნაკლებ თანხას გამოიმუშავებენ, ვიდრე მაღალი მამაკაცები და გამხდარი ქალები. ამ დასკვნამდე მეცნიერები ექსეტერის უნივერსიტეტის კვლევებმა მიიყვანა, რომელსაც ჰარვარდის სამედიცინო სკოლაც ეხმარებოდა.

ექსპერტებმა 120 ათასი ბრიტანელის სიმაღლისა და წონის გენეტიკური მონაცემების ინფორმაცია შეისწავლეს. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტანდაბალი ბრიტანელი მამაკაცები მათზე სამი დიუმით (7,62 სანტიმეტრი) მაღალ მამაკაცებთან შედარებით, რომლებსაც ანალოგიური კვალიფიკაცია, ჩვევები და განათლება აქვთ, წელიწადში 1,5 ათას ფუნტ სტერლინგით ნაკლებ თანხას გამოიმუშავებენ.

მსგავსი სიტუაცია შეიმჩნევა სრული ტანის ქალების შემთხვევაშიც. სპეციალისტების თქმით, ზედმეტი წონა (დაახლოებით 6,4 კილოგრამზეა საუბარი) ბრიტანელ ქალებს წელიწადში 1,5 ათასი ფუნტი სტერლინგის შემოსავალს აკარგვინებს.

## სერენა უილიამსი: „მიხარია, რომ შარაპოვამ ყველაფერი ღიად თქვა“



ბოლო რამდენიმე დღეა, რაც მთელი საჩოგბურთო სამყარო მხოლოდ მარია შარაპოვას სკანდალზე საუბრობს.

შარაპოვას სხეულში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს, რის გამოც მარიას 2 დან 4 წლამდე დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ბევრმა ცნობილმა ჩოგბურთელმა გამოთქვა საკუთარი აზრი. სერენა უილიამსმა განაცხადა, რომ შარაპოვა სწორად მოიქცა, როდესაც პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო:

– როგორც ყველა, ასევე მეც შოკირებული ვარ ამ ინფორმაციით. მიხარია, რომ მარიამ ყველაფერი ღიად თქვა. ეს გაბედული ნაბიჯი იყო, – განაცხადა სერენა უილიამსმა.

მარია შარაპოვას საქმის განხილვა 23 მარტს ლონდონში გაიმართება. შარაპოვა უკვე 28 წლის არის და დისკვალიფიკაციის შემთხვევაში ის შეიძლება საერთოდ აღარ დაბრუნდეს კორტებზე.

## მიხაილოვიჩი შესაძლოა მილანიდან გაათავისუფლონ



იტალიის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდი კრიზისიდან ვერ გამოვიდა და ჩემპიონთა ლიგის 7-გზის გამარჯვებული ამჟამად ჩემპიონატში მხოლოდ მე-6 პოზიციას იკავებს. ამით მილანის ხელმძღვანელობა, კერძოდ კი სილვიო ბერლუსკონი, უკმაყოფილოა და შეიძლება გუნდში ცვლილებები მოხდეს.

პირველ რიგში, ეს მილანის მწვრთნელ სინიშა მიხაილოვიჩს ეხება, რომელიც შესაძლოა მალე დაემშვიდობოს თანამდებობას.

მის შემცვლელად ბერლუსკონის სასუოლოს დამრიგებელი ეუსებიო დი ფრანჩესკო ეგულება, რომელიც თავის გუნდში ძალიან წარმატებულია.

აღსანიშნავია, რომ მილანმა ბოლო შეხვედრა სწორედ სასუოლოსთან წააგო 0:2, რის შემდეგაც გუნდში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა




## მარსაგიშვილი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია




საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა რიგაში ევროპის ჩემპიონატის სტარტზე პირველი მედალი მოიპოვა, რომელიც დავით მარსაგიშვილის (86) ანგარიშზეა.

მარსაგიშვილმა მერვედფინალში რუმინელი სტეფან გეროგიტა 6:0 დაამარცხა, მომდევნო წრეში კი აზერბაიჯანელ ალექსანდრ გოსტიევთან დასანანი მარცხი განიცადა ბოლო წამებზე 3:4. აზერბაიჯანელი საბოლოოდ ფინალში გავიდა და დათოც დამამშვიდებელ წრეში გადაერთო, სადაც პოლონელი ბარანოვსკი არ გამოუცხადდა, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ბელარუსი ალექსანდრ ხუშტინი 5:1 დაამარცხა.

ხალიჩაზე საჭიდაოდ 57 კგ-ში ოთარ გოგავაც გავიდა და ბელარუს ასადულა ლაჩინოვთან 8:10 დათმო შეხვედრა, არადა, 5:2 წინ იყო. შემდეგ ბელარუსი ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ხაჯიმურად რაშდოვთან 0:6 დამარცხდა და გოგავაც გამოეთიშა ასპარეზობას.

მიხეილ ჟორჟოლიანი

## ასტროპროგნოზი
### 10 მარტისათვის



**ვერძი** – ერიდეთ ჭორიკანა ადამიანებთან ურთიერთობას. აჩქარება არ ივარგებს. სამსახურში წინსვლა გელით. **კურო** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. გარშემომყოფები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **კირჩხიბი** – თქვენი აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შორეული ნაცნობი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **ლომი** – სრული ჰარმონია გაქვთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერული თვალსაზრისით. ნებისმიერი წამოწყება წარმატებული იქნება. **ქალწული** – ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა. **ღრიანკალი** – კომერსანტებს პრობლემები შეექმნებათ. გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. **მშვილდოსანი** – წარმატებისკენ დაუოკებელი სწრაფვა სასურველ შედეგს გამოიღებს. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გამოიჩინეთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. საქმიანი წინადადებები, მაცდუნებელი დაპირებები ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. მიენდეთ ინტუიციას. **მერწყული** – დღეს თქვენს საუკეთესო თვისებებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ნებისმიერ საქმიან წინადადებას მხოლოდ გულმოდგინე ანალიზის შემდეგ დათანხმდით. **თევზები** – თქვენი დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში კეთილგონიერება და ინტუიცია დაგეხმარებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 2. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 3. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 4. მთიანეთი ევროპაში; 5. ყაზახეთის დედაქალაქი; 9. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 10. მაღალმთიანი ტბა გულრიფშის რაიონში; 14. სპეციალურად შეგროვილი, გამხმარი მცენარეების კოლექცია; 15. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 16. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 19. ტომატის საწებელა; 20. ვაშლის ქართული ჯიში; 21. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. სასუნთქი ორგანოების, მავნე აირებისა და მტვრისგან დამცავი მოწყობილობა; 7. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 8. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 11. პოპულარული ინდოეთის ოკეანისპირა კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 12. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი საქართველოში; 13. სომეხთა მღვდელი; 17. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 18. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის, მეწვრილმანე ადამიანი; 22. მონასტერი სტეფანწმინდას რაიონში; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 24. მოწინააღმდეგე კამათში; 25. შვედეთის პარლამენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. გუდაური; 2. კლონი; 3. მასანდრა; 4. ფორტუნა; 5. გარპაგონი; 9. კიტელი; 12. დუაიენი; 14. კურაგა; 15. „პეჟო“; 17. კასტა; 18. კრკა.

**თარაზულად**: 6. ჯულელი; 7. ვალტორნა; 8. მადონა; 10. კუკია; 11. „ვინჩესტერი“; 13. აკროპოლი; 16. კულაკი; 19. რენეგატი; 20. სახაროვა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ნესტანი; 2. სპაგეტი; 3. კვირინალე; 4. მარუხი; 5. პუდელი; 9. დერბი; 10. ალიანსი; 14. პარლამენტი; 15. ბუკმეკერი; 16. დიდუბე; 19. ზარნაშო; 20. ხუცესი; 21. სინოდი.

**თარაზულად**: 6. პერსპექტივა; 7. ბაბაჭუა; 8. შტანგა; 11. „ფერხული“; 12. ატოლი; 13. „ბარამბო“; 17. იუმორესკა; 18. ზვიადაური; 22. გულჩორა; 23. „ბრიდემო“; 24. აშხაბადი; 25. დინამიკა.

# გურანდა გაბუნია მოსკოვში მიიწვიეს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გურანდა გაბუნია მოსკოვში მიიწვიეს. მსახიობი რუსეთის დედაქალაქს გრიბოედოვის თეატრის დასთან ერთად ესტუმრება, სადაც ითამაშებს ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ მიხედვით დადგმულ ამავე სახელწოდების სპექტაკლს.

ჩეხოვის უკანასკნელი და ყველაზე ცნობილი პიესის სცენური ვერსია ანდრო ენუქიძეს ეკუთვნის. წარმოდგენაში გურანდა გაბუნია რანევსკაიას როლს ასრულებს. მასთან ერთად წარმოდგენაში მონაწილეობენ ირინა მელვინეთუხუცესი, ოლეგ მჭედლიშვილი, არჩილ ბარათაშვილი, მიხეილ ამბროსოვი და მიხეილ არჯევანიძე. სპექტაკლის პროდიუსერია ნიკოლოზ სვენტიცკი, მხატვარი მირიან შველიძე, კოსტუმების მხატვარი თეო კუხიანიძე.

სპექტაკლში პარიზში მყოფი მოხუცი რანევსკაია იხსენებს თავის ცხოვრებას და მტკივნეული მოგონებები გაუთავებლად ეხვევა თავს. უყვარს თუ არა მას თავისი სამშობლო, რატომ გაიყიდა ალუბლის ბაღი და რა ბედი ეწია ფირსს? იგი ესაუბრება ვინმე ქალს. ვინ არის იგი ანია, ვარია, შარლოტა? და რატომ არის ეს დიალოგი უსასრულო?

უკრაინაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ტავრიის მელპომენა“ გურანდა გაბუნიამ რანევსკაიას როლისთვის მიიღო დიპლომი ნომინაციაში „თეატრისადმი ერთგული მსახურებისთვის“.

გასტროლი ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით და კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის“ ორგანიზებით ხორციელდება. „ალუბლის ბაღი“ მოსკოვში 12 მაისს იქნება წარმოდგენილი და მასზე დასწრებას მსურველები მხოლოდ მოსაწვევებით შეძლებენ.

# გიორგი ყიფშიძე „იქს ფაქტორიდან“ გაუშვეს



კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ყიფშიძე მუსიკალური შოუს „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონის წამყვანი აღარ არის. რუსკა მაყაშვილი შოუს პროდიუსერებმა ახალგაზრდა მსახიობ ერეკლე გეწაძესთან დააწყვილეს. ერეკლე მსახიობების ზურა გეწაძის და ნანუკა ლითანიშვილის შვილია. ერეკლე მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობია, თუმცა კინომსახიობთა თეატრშიც თამაშობს.

როგორც რუსკა აცხადებს, ერეკლე გეწაძე მისი მეგობარია და ამიტომ იმედი აქვს, რომ მათი ტანდემი შედგება და წარმატებული იქნება.

**რუსკა მაყაშვილი:**

– ერთი სული მქონდა, როდის დაიწყებოდა „იქს ფაქტორი“, რადგან წამყვანის ამპლუაში ყოფნა ძალიან მომენატრა. ჩემი თანაწამყვანი, ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი და ჩემი მეგობარი ერეკლე გეწაძე გახლავთ. ერთმანეთის გაცნობა პროექტში არ მოგვიწია, შეთამაშებულები ვართ და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ტანდემი შედგება.

„იქს ფაქტორის“ ჩაწერები დიდ საკონცერტო დარბაზში უკვე დაიწყო. კონკურსანტებს გიგო გაბაშვილი და თათუკა ნარტყოშვილი ამხნევებენ, მენტორები კი ნიკა გვარამია, გიორგი გაბუნია, სოფო ნიჟარაძე და ნინა სუბლატი არიან. ჩაწერებს ბევრი ცნობილი მომღერალი ესწრება, მათ შორის მარიტა როხვაძე, დიმა კობეშავიძე, ბარბარა სამხარაძე, გიორგი ნაკაშიძე. როგორც შოუს ორგანიზატორები განმარტავენ, „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონი ეთერში აპრილში გავა.

# სოლიდარობა პარიზს — ფრანგი სოპრანო ქუთაისში იმღერებს

პარიზის ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას ქუთაისში კონცერტი მიეძღვნება. სოლიდარობა პარიზს! – ასე ეწოდება კონცერტს, რომელიც 15 მარტს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართება. ვოკალური მუსიკის კონცერტში მონაწილე ყოველი ადამიანი გამოხატავს თანაგრძნობას და გმობს ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლენას.




მსმენელის წინაშე წარდგებიან წარმატებული ფრანგი სოპრანო კრისტელ დი მარკო და საერთაშორისო აღიარების მქონე ცნობილი ქართველი ტენორი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის წამყვანი სოლისტი ირაკლი კახიძე. კონცერტს თეატრის ორკესტრისა და გუნდის მონაწილეობით ქუთაისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი უდირიჟორებს.

ხსოვნის საღამოზე აჟღერდება არიები და სცენები ჯუზეპე ვერდის ოპერებიდან „ბალ-მასკარადი“, „ბედის ძალა“, ჯაკომო პუჩინის ოპერებიდან „ბოჰემა“, „ტოსკა“, „მადამ ბატერფლაი“, „ტურანდოტი“, პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“, ჟორჟ ბიზეს „კარმენი“, ფრანჩესკო ჩილეას ოპერიდან „არლელი ქალი“.

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი და მისი საოპერო სტუდია არაერთი კოპროდუქციის შექმნას და მსმენელებისა და მაყურებლებისთვის შეთავაზებას გეგმავენ.

# ფრედერიკ ბეგბედერი საქართველოში ჩამოდის



ცნობილი ფრანგი მწერალი ფრედერიკ ბეგბედერი საქართველოში ჩამოდის. 11 მარტს ის მკითხველთან შეხვედრას გამართავს.

– ფიქრიც კი იმის შესახებ, რომ ევროპა დალაგებული, აწყობილია და სიმშვიდეში ვერაფერს ქმნის ახალს ხელოვნებასა და მწერლობაში, მცდარია. აზრის მიზეზია: განსხვავებულ დროის რეჟიმში ცხოვრება. ისტორიული ერუდიცია ხსნის პირველი და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტური ქვეყნების გავლენის დაკარგვას მსოფლიოს რუქაზე, რამაც ბუნების კანონით მოახდინა დაპყრობილი ქვეყნების ეგზისტენციალური ბორკილის მსხვრევითი ემანსიპაციის მცდელობა, ევროპული პოლიტიკური და მენტალური საზღვრების ბანქოსებრი არევა, გაქრა. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი დასასრული ბადებს ძველის გავლენითვე ახალს.

ფრედერიკ ბეგბედერი თანამედროვე კონსომაციის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე წაკითხვადი მწერალია ლიტერატურული ხარისხით. მისი ნაწარმოებები თარგმნილია საქართველოში და მკითხველში დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

ფრანგი მწერლის, გახმაურებული რომანის „99 ფრანკი“ ავტორი ფრედერიკ ბეგბედერი თბილისს ჟურნალ „12-ის“ პრეზენტაციაზე ესტუმრება. ამავე ჟურნალში დაიბეჭდება ინტერვიუც, რომელშიც, ბაბლუანის თქმით, ფრედერიკ ბეგბედერი სხვადასხვა საინტერესო თემაზე საუბრობს, მათ შორის, „ბებერ საფრანგეთზე“, „კოკაინის“ ძველ გატაცებაზე, უელბეკსა და „ცხოვრებისთვის საჭირო“ გამბედაობაზე, სიყვარულზე...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ხაშურელები „ილო ბეროშვილის შოუსგან“ ბოდიშის მოხდას ითხოვენ




ილო ბეროშვილის შოუ და მისი წამყვანი სკანდალში გაეხვივნენ. ერთ-ერთ მონოლოგში ილო ხაშურში ინოვაციების ცენტრის შექმნას გამოეხმაურა და ხაშურს და ხაშურელებს დასცინა. ამ მონოლოგმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და მათ შოუსგან საჯარო ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. მათი აგრესია იმანაც განაპირობა, რომ შოუს ერთ-ერთი პროდიუსერი ზვიად ბლიაძე, იგივე ზვიო ხაშურიდანაა. გადაცემაში ხშირად ისმის ხაშურის ქილიკი და დამცინავი ფრაზები.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ოთარ დოლიძე



თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული მცირე მეწარმეობის ბერმუხა, საბჭოთა კავშირში პირველ მცირე მეწარმედ აღიარებული, რუსთავის შპს „წიდას“ ცნობილი დირექტორი ოთარ დოლიძე.

გასაოცარი იყო მისი ბრძოლა საქართველოში თავისუფალი მცირე მეწარმეობის დამკვიდრებისათვის, რისთვისაც ის არ იშურებდა ძალას, ენერგიას, დროსა და ფინანსებს. გვახსოვს 1999 წელს, როცა პარლამენტში ჩააგდეს ასოციაციის მიერ მომზადებული კანონპროექტი მცირე მეწარმეობის შესახებ, რამდენი იბრძოლა ბატონმა ოთარმა საკუთარი ხარჯებით, ეს კანონპროექტი ექსპერიმენტის წესით რომ ამოქმედებულიყო რუსთავში. ეს ექსპერიმენტი რომ არ ჩაშლილიყო, დღეს საქართველოში მცირე მეწარმეობისა და, შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების პრობლემა ძირითადად მოგვარებული იქნებოდა.

ოთარ დოლიძე ნამდვილად იყო ქართული მცირე მეწარმეობის პატრიარქი და მისი სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს მცირე მეწარმეობის ისტორიაში.

**ანზორ საკანდელიძე, ანზორ ბაბუხადია, ვალერი ლომაძე, ილო ლეჟავა, თამაზ ვაშაკიძე, თამაზ ცქიტიშვილი, მალხაზ ცისკარიშვილი, ფრიდონ გუნცაძე, ვაჟა სხვიტარიძე, მერაბ ბერაძე, ვანო ჩოლოყაშვილი**

---

სააქციო საზოგადოება „მშენებელი-96“ თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა ნარიმანიძეს მეუღლის

**შიო ნარიმანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ თანამშრომლის, მანანა ჭოველიძის ძმის

**ედუარდ ჭოველიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

დირექცია და პროფკომიტეტი

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

ხუთშაბათი
10 მარტი

07.00, 07.30, 08.00, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 08.30, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 23.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ამაოების ბაზარი**" 03.30 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ჯონ სფარის ნახატები" 13.00 დ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ. "**ფანფან ტიულპანი**" (პ. კრუსი) 01.55 მხ/ფ. "**მეტროპია**" 03.20 ერთხელ საქართველოში 04.35 მხ/ფ. "**რომეო და ჯულიეტა**" (ჰ.სტეინფელდი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 პროფილი 00.00 P.S. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 9.30 Discovery- ფილმების მეცნიერება 10.30, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ძვლები**" 15.30 Discovery- როგორ არის დედამიწა მოწყობილი 16.30 აირჩიე კაბა 20.30 20.30 22.00 ბინა 18 23.00 მხ/ფ "**ფედერალური მარშალები**" 1.20 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი 2.20 URBAN STORIES

06.10 სიმღერის კვალდაკვალ 06.40 პატერიკი 06.50 სჯანი 06.20 ქართული ალბომი 06.50 მოკ. მხ/ფ "**ძაღლი**" 06.35 დ/ფ "იაკობ ნიკოლაძე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" 2 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართ. ან/ფ 15.40 კლასიკა 15.50 დ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" 16.40 ჩვენი ფონდი 17.10 მარხვის კარიბჭესთან-დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.10 დ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" 20.40 ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 21.40 ფსალმუნის განმარტება 21.45 განთიადის სიუჟეტი 22.25 დ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.25 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 20.45, 22.30 სერ. "**მოკალი სტალინი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 2.30 სერ. "**ქალთა ექიმი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**10 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4630 |
| ევრო | 2.6990 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4839 |
| 100 რუსული რუბლი | 3.4302 |

## ამინდის პროგნოზი 10 მარტისთვის





# 9 მარტიდან გაზეთ ახალ თაობასთან ერთად




## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

**ბიოლოგია** – თეორიული მასალა + ტესტები + 1500 ელექტრონული ტესტი

**გადაფხიკე კოდი და ივარჯიშე ინტერნეტში!**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელ წიგნებში შესულია ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკისა და ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები.

წიგნების უკანა ყდაზე დატანილია კოდი, რომლის საშუალებით მოსწავლეებს გამოცდებისთვის მომზადება და ცოდნის გადამოწმება დამატებით 1500 ტესტით ინტერნეტით შეუძლიათ.

ეს ელექტრონული ტესტები რეალური გამოცდების სიმულაციაა.

ყურადღება! გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. გადაფხიკეთ ეს ფენა და მოცემული კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე (Fb.com/bakursulakauripublishing).

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს.

ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ ან შეაჯამეთ თეორიული მასალა ამ წიგნების მიხედვით, მოაწყვეთ გამოცდების სიმულაცია სახლში და წარმატებით ჩააბარეთ საატესტატო გამოცდები!

**16 მარტიდან გაიყიდება გეოგრაფია ● 23 მარტიდან – ფიზიკა ● 30 მარტიდან – ქიმია**


## ჯონ ლენონის წერილი 30 ათას ფუნტადაა შეფასებული



ლეგენდარული ბრიტანელი მუსიკოსის ჯონ ლენონის მიერ დაწერილი ყველაზე ადრეული წერილი, როგორც მოსალოდნელია, აუქციონზე 30 ათას ფუნტ სტერლინგზე ძვირად გაიყიდება.

1951 წელს 11 წლის ლენონმა საშობაო მისალოცი ბარათი დაწერა, რომელშიც დეიდა გარიეტს მადლობას უხდიდა საჩუქრებისთვის.

ლენონი თავისი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს წერილებს „ბითლზიში" მთელი თავისი კარიერის მანძილზე წერდა, თუმცა ეს წერილი დღემდე შემონახულ წერილებს შორის ყველაზე ადრეა დაწერილი.

ამ წერილში ყმაწვილი ჯონი დეიდას მადლობას უხდის მისთვის გაგზავნილი წიგნისა და პირსახოცისთვის, რომელზეც მისი სახელია ამოქარგული, ასევე ბედნიერ ახალ წელს უსურვებს თავისი დედის დას.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# 7 მარტიდან!




„ახალ თაობასთან" ერთად

## მურმან ლებანიძე

## 100 ლექსი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 3. მეორე ხმა, ქართულ ხალხურ საგუნდო სიმღერაში; 4. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 5. შუშხუნა ღვინო; 9. ჩვილი ბავშვის საწოლი; 12. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 14. ისტორიული ციხექალაქი საგარეჯოს რაიონში; 15. ემილ ზოლას რომანი; 17. მდინარე დელიში; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 8. გარეული მტრედი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 11. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 13. სამხრეთ აფრიკაში მოპოვებული ყველაზე დიდი ალმასი; 16. პატარა ერთბინიანი, მანსარდიანი სახლი; 19. მოხეტიალე მუსიკოსი–მომღერალი გერმანიაში; 20. ბუნებრივი წყლვარდნილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## მესი არგენტინის ნაკრებს ჩილესთან შეხვედრაში დაუბრუნდება



არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხერარდო მარტინომ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ნაკრების უახლოეს შეხვედრებში მიიღებენ მონაწილეობას. არგენტინელებისთვის უდაოდ სასიხარულოა ის, რომ ნაკრებს დაუბრუნდა მსოფლიოს 5 გზის საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი, რომელმაც წინა შეხვედრები ტრავმის გამო გამოტოვა.

მესის გარდა, გუნდს აგუეროც შეუერთდება, რომელმაც ასევე არ ითამაშა თავისი ნაკრების წინა შეხვედრებში.

24 მარტს არგენტინა სტუმრად ჩავა ჩილეში, სადაც ადგილობრივ ნაკრებს დაუპირისპირდება, ხოლო 29 მარტს არგენტინელები საკუთარ მოედანზე ბოლივიას მიიღებენ.

ორივე მატჩი არგენტინის ნაკრებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

## ბარსელონას ალაბას ყიდვა სურს



ბარსელონა მიუნხენის ბაიერნის მცველ დავიდ ალაბათი დაინტერესდა.

როგორც გერმანული პრესა იტყობინება, ბარსელონას წარმომადგენელი ბაიერნის ერთ-ერთ შეხვედრას დაესწრო და ეს სწორედ ალაბას გამო გააკეთა.

კატალონიური გუნდი ჯერჯერობით ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

ალაბა ბაიერნის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და მიუნხენში მას ადვილად არ შეელევიან. გარდა ამისა, მისი სატრანსფერო ღირებულება 48 მილიონი ევროა და ბარსელონას ავსტრიელის შეძენის შემთხვევაში მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა. ბარსელონა გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელებიდან ილქაი გუნდოგანს და პიერ-ემერიკ ობამიანგსაც აკვირდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ავადმყოფი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, სად მიგყავართ?

– მორგში.

– კი მაგრამ, ჯერ ხომ ცოცხალი ვარ?

– მერე, ჯერ მორგში ხომ არ მივსულვართ...

●●●

სიძე ხელში აყვანილი პატარძლით სახლის კარს მიადგა და გასაღებით კარის გაღებას ცდილობს, მაგრამ ჭრილში ვერ ახვედრებს. ქალმა ითმინა, ითმინა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

– ჰოო, არცთუ კარგი დასაწყისია...

●●●

სილამაზის სალონიდან გამოსული ცოლი ქმარს ეკითხება:

– აბა, როგორ გამოვიყურები?

ქმარმა კარგად შეათვალიერა და ეუბნება:

– არა უშავს, სათქმელად ხომ მაინც გექნება, რომ სცადე...

●●●

კაცი დილით მაგარ „პახმელიაზე" იღვიძებს. ამ დროს ცოლი სამზარეულოში ტრიალებს და უცბად მეუღლის ღრიალი ესმის:

– ოხ, ჩემი სიდედრის დედა!!!

– რა დაგიშავა დედაჩემმა, ამ დილაადრიან რომ აგინებ? – შეეპასუხა ცოლი.

– რა და რა დაგარქვა ასეთი, რომ ნახევარი საათია ვერაფრით გავიხსენე!!!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რამდენჯერ იყავი გათხოვილი?

– სამჯერ.

– და შენი ქმრები ზოდიაქოს ნიშნით ვინ იყვნენ?

– თხის რქა, ვერძი, კურო.

– რა, ფერმის გამგე ხარ???

●●●

დედა შვილს არიგებს:

– შვილო, დაიხსომე, ქმარი ჭკუით უნდა აირჩიო...

– ეგ როგორ, დედი?

– აი, ნახე, მამაშენსა ყველაფერი შეუძლია: „კრანი" გაფუჭდება – გააკეთებს, უთო გაფუჭდება – იმასაც გააკეთებს, ავეჯი გატყდება და იმასაც „მიაპაჩინკებს". მანქანასაც კი თვითონ აკეთებს...

– ???

– ჰოდა, შვილო, იცოდე, თუ ასეთს გაჰყვები ცოლად, ახალი არასოდეს არაფერი გეღირსება...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**